გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№31 (926) 31 მარტი – 1 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125

დაცვის პოლიცია

ბიზნესმენი ჯონი გიგანი 20-წლიან დუმილს არღვევს



რა სკანდალურ ბრალდებებს უყენებს გარდაცვლილ პატარკაციშვილსა და ქვანიას

გვ. 6–7

„ოჯახმა ცოტა რიდით უნდა იმოქმედოს და გმირად არ გამოაცხადოს, რადგან ქვანიას, ჩემნაირად, ძალიან ბევრი ჰყავს განადგურებული! ჩემი ოჯახის პირდაპირი ამფეთქებელი ქვანია არაა, მაგრამ მის ოჯახს ვეუბნები: ქვანია ჩემთვის ორჯერ მკვლელია, რადგან ჩემი ოჯახის მკვლელი გარეთ გამოუშვა! ქვანია მაფია იყო და სახელმწიფოსთან საერთო არაფერი ჰქონდა!"

ვის თამაშს თამაშობს გია ხუხაშვილი ამჯერად?

მარადიული მოხეტიალე ექსპერტი ახალ პატრონს ეძებს

დიტო გელოვანი

არმაგედონი, ანუ მაკუმბა მაკუმბას შემდეგ

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

დიტო გელოვანი

„მუდამ ასეა, ბერიქალები ღმერთს ან წარუდგებიან, ან სულს აბარებენ. გააჩნია, რანაირი ბერიქალია. თქვენი, მაგალითად, პატარა ტანის იყო — მაშასადამე, წარუდგა. თუ მაგალითად, ბერიქალი უფრო მაღალი და გამხდარია, იმაზე იტყვიან, ღმერთს სული ჩააბარაო“. „იტყვიანო? ვინ იტყვის?“ — „ჩვენ, ოსტატები ვიტყვით. აი, თქვენ, მაგალითად, შესამჩნევი მამაკაცი ხართ, მაღალი ტანისა, ოღონდ გამხდარი. ღმერთმა დაგიფაროთ და თუ მოკვდით, თქვენზე იტყვიან — ყუთში ჩახტაო. ვაჭრებზე, ვთქვათ, გილდიის წევრებზე, იტყვიან — თქვენი ჭირი წაიღოო. პატარა ჩინის ხალხზე, მეეზოვეებზე ან გლეხებზე — ფეხები გაფშიკაო. მაშ! ჰოდა, როცა დიდნი კვდებიან, — ვთქვათ, რკინიგზის კონდუქტორი ან ვინმე უფროსთაგანი, — მაშინ იტყვიან — მუხა წაიქცაო. დიახ, სწორედ ასე იტყვიან: „გაიგე, ჩვენი მუხა წაიქცაო“.

(ილია ილფი, ევგენი პეტროვი. „თორმეტი სკამი“)

არმაგედონი, ანუ მაკუმბა მაკუმბას შემდეგ

პოლიტიკურ გვამებზე რაღას ამბობენ? ალბათ ამას — ძაღლი მიაკვდაო, ან მ...ნია პატრონიო, წავიდეს მაგისიცო... სტოპ!!! სად უნდა წავიდეს? კი არ უნდა წავიდეს, უნდა ჩამოვიდეს, რადგან იქ, სადაც ჯერ არს, კითხვები დაუგროვდათ, კითხვა კი ისეთი რამ არის, აუცილებლად მოითხოვს პასუხს, ან ისე, ან ასე, რამენაირად და რაღაცნაირად, ოღონდ პასუხი უნდა იყოს დამაჯერებელი.

აბა, გვამს რა პასუხი უნდა მოსთხოვო, მაგრამ პოლიტიკური გვამი სხვაა, იგი სხვაა, თუნდაც იმიტომ, რომ წესიერი გვამებისგან განსხვავებით, პოლიტიკურ გვამებს ბევრი ლაპარაკი უყვართ და ხშირად ისეთ სისულელეებს ამბობენ, პირი ღია დაგრჩება.

„პრეზიდენტობის დროს აღმოვაჩინე, რომ ბებიაჩემს — მზია წერეთელს ბაბუაჩემმა გივიმ დაუტოვა ერთ-ერთი რესტორნის წილი — 5% და გავგიჟდი. მოვიყვანე ბებიაჩემი, რომელიც ძალიან აქტიური ქალია, ძალიან მიყვარს და არ დაგიმალავთ, ხმას ავუწიე და ვუთხარი, როგორ შეიძლება, პრეზიდენტის ბებიას ჰქონდეს რესტორნის წილი-მეთქი?! როგორ მოგვიდათ ეს თავში მეთქი?.. თავს იმართლებდა, ბაბუაშენმა დამიტოვაო. სხვათა შორის, აქეთ მეჩხუბა და მითხრა, რომ ერთხელ მაინც იკითხე, რით ვცხოვრობ ეს წლებიო! ამ რესტორნიდან თვეში 2000 ლარის შემოსავალი მაქვს და ამით ვცხოვრობო... მართალი იყო, არ მიმიცია არასოდეს ფული. საბოლოოდ, ეს წილი უსასყიდლოდ სხვისთვის გადავაფორმებინე და დავტოვე ამ შემოსავლის გარეშე. ასე ვექცეოდი მე ჩემს ნათესავებს“, — განაცხადა ცნობილმა პოლიტიკურმა გვამმა.

ეს რომ სამოციან წლებში მომხდარიყო, იქნებ კამათიც კი შეექმნათ ზოგიერთებს, ერთნი იტყოდნენ — თქვა და გაწითლდაო, მეორენი შეეწინააღმდეგებოდნენ, გაწითლების უნარს შუბლის ძარღვი უზრუნველყოფს და ვინ მისცა მაგას შუბლის ძარღვიო.

თუმცა ახლა 21-ე საუკუნეა, ტელევიზორები ფერადია და ეგეც არ იყოს, ზუსტადაა დადგენილ-დადასტურებული, რომ თანდაყოლილ სიმახინჯეთა შორის ყველაზე საშიში უშუბლისძარღვობაა, რამეთუ უშუბლისძარღვოები უტვინოთა და უხერხემლოთა ხორცით იკვებებიან, ასეთები კი კაცობრიობის (მეტადრე — პოსტსაბჭოთა კაცობრიობის) უმრავლესობას შეადგენენ.

ასეა თუ ისე, საახოვი დაბარებულია და საკითხავი ის არის, რა უფრო წაგვადგება, Skype-დან ურცხვი ტყუილები გვაფრქვიოს თუ იწანწალოს ქალაქიდან ქალაქში და ნებისმიერ უწყინარ კითხვაზე (მაგალითად, „უკაცრავად, რომელი საათია?“ ან „ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთ?“) შიშით გული უჩერდებოდეს.

კი, ამბობენ, პროკურატურაში მაგის დაბარებას რევანშის სუნი ასდისო, მაგრამ მერე რა — კანონის აღსრულება სწორედაც რომ რევანშია, რომელსაც ზნეობა და სამართალი უზნეობასა და უსამართლობაზე იღებს.

მოკლედ, რევანშისტი ვარ და ყველა ბილდტმა და ბაროზომ თავს და, თუ უნდათ, ერთმანეთს მოუარონ.

25 წელია ეს ქვეყანა ინგრევა და პარტახდება, დასჯით კი ჯერ არავინ დასჯილა. ევროპის კარი ღიაა და... არ გვიშვებენ, ნატო-ს კარი ღიაა და თურმე ჯერ ნატო-სკენ მიმავალ გზას არც დავდგომივართ... იქნება და ეს ყველაფერი სწორედ იმის ბრალია, რომ ვინგრევით, ვპარტახდებით, ხოლო დასჯით კი არავინ დასჯილა? დაისაჯოს დასასჯელი და თუ მაინც არ გაგვეღება ნატო-ს ალაყაფი, სამართლიანობის აღდგენა ხომ მაინც შეგვრჩება? მეტი რა შეგვრჩება!

რაც შეეხება იმას, აი, სამიტების წინ ამგვარი დაკითხვა-დაბარებები ხელისშემშლელი იქნებაო... მსოფლიოში თვე ისე არ ჩაივლის, რაღაც მნიშვნელოვანი სამიტი არ გაიმართოს, ამიტომ, ვთხოვოთ და დაგვიწესონ რაღაც პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეგვეძლება სამართლიანობის აღდგენა, დანარჩენ დროს კი გინებასა და გულისხეთქვაში გავატარებთ.

ანაც ის... რა ამბავია ერთბაშად ამდენ საქმეზე დაკითხვაო... ეს საყვედურ-არგუმენტი, ძირითადად, იმათ მოყავთ, მწვადსა და შამფურს რომ უფრთხილდებიან, მე კი ამ პროკურატურის გამკვირვებია, რომ არ გამოდის და არ ამბობს, სულ რამდენ საქმეზე არსებობს კითხვები და რომ ეს ათი-თორმეტი მხოლოდ მცირე ნაწილია, ანუ ეს არის ჟურნალი და თუ კოლმეურნეობების ინკოგნიტო თავმჯდომარეები ბევრს ილაპარაკებენ, კინო ყოველგვარი ჟურნალის გარეშე დაიწყება.

ოეეე, მეხაშეეე!!!

„მიხეილ სააკაშვილი დღეს არის ერთ-ერთი აქტიური საერთაშორისო მოღვაწე და ლიდერი ანტიპუტინური ფრონტისა. ეს ასეა საქართველოს გასული წლების მოვლენების გათვალისწინებით და აქედან გამომდინარეობს ივანიშვილის პათოლოგიური შიში, შიზოფრენიული ბოღმა სააკაშვილის მიმართ, რომელსაც ვერ ფარავს მაშინაც კი...“ — თქვა გოკა-თვალებამ და თვალები ფართოდ დახუჭა.

„დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილი ყველა კითხვას უპასუხებს. ხოლო ის, თუ როგორ გააკეთებს ამას, შესაბამის ფორმას თავად მოიფიქრებს“, — თქვა რიჟა-ზურაბამ და თმაში ჭაღარა შემოერია.

პოლიტიკური მუმია, — თქვა თინა ხიდაშელმა და ის ფილმი გამახსენდა — „ანქსუნამუუუნ“

„აშშ-ში არც ერთ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის გვარი არ თქმულა“, — თქვა თედო ჯაფარიძემ და ეს კი უკვე ვეღარ დავიჯერე. გვარი არ არის მთავარი, მთავარია გაგება, გაგების აღსანიშნავად კი ხშირად სხვადასხვა სიტყვას იყენებენ ხოლმე, ზედსართავ სახელებს და ა.შ. მაგ. გიჟი, შიზოიდი, დორბლიანი, ჩოყლაყი, ბიძას ბიჭი, დაშნაკი, საახოვი... „ილი ია ეო ვიდუ ვ ზაგს, ილი ანა მენია ვიძიოტ ქ ფრაქურორუ“...

გიჟი, შიზოიდი, დორბლიანი, ჩოყლაყი... — ეს ყველაფერი თანმხლებია ძირითადისა, იმ ძირითადისა, საიდანაც ხდება ყველაფრის განსაზღვრა ანუ რა, სად, როდის, ვინ, როგორ, რატომ, რისთვის და სხვ.

ძირითადი კი, ჩემი ღრმა რწმენით, ბიძას ბიჭობაა, ბიძა უყვარს ნამეტნავად, თან ისე უყვარს, რომ ბიძის გამო დედის დაგინებასაც წარბშეუხრელად იწერს, როგორც ეს გასულ კვირაში მოხდა: „რანაირად არის „კაგებეშნიკი“, ცოლი ამერიკის მოქალაქე ჰყავს, ორივე შვილი ამერიკის მოქალაქე ჰყავს, თვითონ „გრინ კარტა“ აქვს და არ იღებს მოქალაქეობას მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს პასპორტის დათმობა არ უნდა. „კაგებეშნიკი“ ბიძაო იმდენჯერ გაიმეორეს, მე რომ ვუყურებ ხოლმე, ძალიან ხშირად ვხვდები, მეც ხანდახან წამომცდება ხუმრობა, აბა, ხომ არ დაგაწინაურეს, აბა, გენერალ-ლეიტენანტო და არ სიამოვნებს, მასაც ყელში აქვს ამოსული“, — ჭირიანთან ინტერვიუში დაიწუწუნა წვინტლიანმა.

რამდენმა უნდა დაიგინოს, რამდენჯერ უნდა დაიგინოს, რა უნდა დაიგინოს... აზრი არ აქვს, უშუბლისძარღვოს რა უნდა ელაპარაკო?! საერთოდაც, ყველა საქმეს ცოდნა უნდა, მათ შორის ლაპარაკსაც. ადამიანების ბევრი სხვადასხვანაირი კატეგორია არსებობს, ზოგს ტკბილი სიტყვა ესმის, ზოგს დაყვავება, ზოგს მკაცრად უნდა უთხრა, ზოგიერთს გინება შველის, ისეთებიც არიან, სანამ ფეხქვეშ არ გაიგდებ, ვერაფრით შეაგნებინებ, რომ თოვლი თეთრია.

„თუ მიხეილ სააკაშვილი ახსნა-განმარტებებს აძლევს ერთ-ერთ ტელეკომპანიას, რატომ არ შეიძლება პროკურატურას მისცეს განმარტება?! გასაგებია, რომ მშიშარა ადამიანია, მაგრამ დისტანციური საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნება, რომ მას არ შეეშინდება ისე, როგორც ეშინია ხოლმე და ის ყველა ჩვენება, რომელსაც მისცემს, რეალურად იქნება დაფიქსირებული და ვერავინ ამაში ეჭვს ვერ შეიტანს“, — თქვა გასულ კვირაში ირაკლი ჩიქოვანმა. ეგრე, რა... „მშიშარაა, მშიშარაა“. აბა ის იყო, ეკონომიკისა და რაღაცნაირი განვითარების მინისტრმა, კვირიკაშვილმა რომ თქვა: „არა მგონია, სწორი იყოს ამ შემთხვევაში თავისარიდება, თუნდაც დისტანციური დაკითხვისაგან. ვფიქრობ, ეს არასწორია. ვერ გეტყვით, რატომ უნდა არიდებდეს თავს“, ან სრულიად სახალხო დამცველმა რომ განაცხადა: „ცუდი ნიშანია, როცა სახელმწიფოს ყოფილი მეთაური პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს“.

ერთი არცთუ ძველი ანეკდოტი გამახსენდა: სუფრასთან ბიძა-კაცი პირდაპირ მჯდომ რამდენიმე ახალგაზრდას ეუბნება: „ბიჭებო... აი, შენ, შენ, შენ და შენ...“ „მეც, ბიძაჩემო“, — თავი გამოიდო მეხუთემ. „კარგი, შენც... ჰოდა, თქვენი სუყველას დედას...“

ასე უნდა ველაპარაკებოდეთ ნაცებს და ის წივილ-კივილი, გასულ კვირაში კინოს სახლთან რომ გაიმართა, ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ორივე მხრიდან ნაცების ორგანიზებული არ იყო. ხომ გახსოვთ, ევრაზიული კავშირის ვითომ მომხრეებს ევროპისა და ამერიკის ვითომ მომხრეებმა რომ დააყარეს. ნუ, ეგ იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც ეს: „ევრაზიული ინსტიტუტის“ მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე რამდენიმე სასულიერო პირი მივიდა“.

ბევრს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, ერთს აღვნიშნავ. აი, ხომ არიან მწერლები და პოეტები, წერა რომ არ იციან, ანაც მხატვრები, ხატვის რომ არაფერი გაეგებათ, მომღერლები, არც სმენა რომ არ აქვთ, არც ხმა და არც სინდისი... ზოგი სასულიერო პირიც ასეა — ანაფორა აცვია, მაგრამ ღმერთი არ სწამს.

მგონი ადრე მითქვამს, მაგრამ ახლა კიდევ უნდა გავიმეორო: ჩემი ღრმა რწმენით, კაცობრიობის ერთი ნაწილი ადამისა და ევასგან წარმოიშვა, მეორე ნაწილის წინაპარი კი დიდხანს იჯდა ხეზე და მაიმუნობდა. ისხდნენ ხეებზე, ახლა კი პარლამენტში სხედან, დადიან კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, პრეზენტაციებზე, მაიმუნობა კი მაინც ვერ მოიშალეს, უფრო მეტიც — იმით საზრდოობენ, რის ჭამასაც ღორი ვერასოდეს მოიშლის.

ეს ვოლსკი მესიმპათიურება, როცა ვუსმენ, სულ მგონია, რომ აი, ახლა დაიწყებს დედის გინებას, ახლა, პირდაპირ ეთერში დაარქმევს ყველაფერს თავის სახელს. რაღაც ეგეთი იყო გასულ კვირაში: „პარლამენტის წევრობა არ არის ინდულგენცია და ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ ზის პარლამენტში, — ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა. გიორგი ვოლსკი საპარლამენტო უმცირესობის წევრის, როლანდ ახალაიას პროკურატურაში დაბარებას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა“.

დიახ, ხალხმა ნამდვილად უნდა იცოდეს, ვინ ზის პარლამენტში, თუმცა ხალხმა ისიც იცის, ვინ რაზე ზის, რაზე უნდა იჯდეს და, რაც მთავარია, რაზე ჯდომის საფასურად მიიღო პარლამენტში ჯდომის უფლება. ხალხის რჩეულნი კი ჰქვიათ, მაგრამ ირჩევდე და არ ენდობოდე, ცოტა ისეთი რამ არის... მით უმეტეს, არ ენდობოდე და მაინც ირჩევდე.

ნაციონალური მოძრაობა ზურაბ ჟვანიას საქმეზე ნდობის ჯგუფის შექმნას ითხოვს. ნაციონალური მოძრაობის განცხადება ბრიფინგზე ჟურნალისტებს გივი თარგამაძემ გააცნო“, — ხომ მართლა სასაცილო ნიუსია? „ყველა ხელახალი ექსპერტიზა ჩატარდეს საერთაშორისოდ აღიარებული სააგენტოების მიერ, რათა გამორიცხოს მთავრობის ზეწოლა. დარწმუნებული ვართ, მხოლოდ სიმართლე დაასრულებს საჯარო სპეკულაციას და საზოგადოებას მისცემს საშუალებას“, — ხომ მართლა სასაცილო ამონარიდია?

„არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით, პროკურატურას განმარტებების გაკეთებისკენ მოუწოდებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (სიდა), „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) განცხადებას ავრცელებენ“, — ასეთი ტიპის ნიუსები საზოგადოებას ორ ბანაკად ყოფს, ერთი ნაწილი იცინის, მეორე ნაწილი ტირის, თუმცა ორივეს თანაბრად აინტერესებს, საერთაშორისოდ გამჭვირვალე ეკა გიგაური უფრო შეშფოთებულია თუ უფრო აღშფოთებული.

აი, კიდევ ერთი სასაცილო სათაური, რომელიც აღშფოთებასა და შეშფოთებასთან ერთად, სიამაყის გვარიან დოზასაც შეიცავს: „ზვიად ქორიძის ინფორმაციით, ევროსაბჭოს ექსპერტებს ფარულ მოსმენებზე მომზადებული ცვლილებები მოსწონთ“.

თქვენც ხომ გაგახსენდათ ეს მომენტი „ცისფერი მთებიდან“ – „მოეწონა...“ „რა მოეწონა, სოსო?“ „ცისფერი მთები...“ „შენს „ცისფერ მთებს“ კიდევ რა ჰქვია?“

გასულ კვირაში ცისფერ მთებს ბევრი მეორენაირი სათაური ჰქონდა: „ცისფერი მთები, ანუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას“, „ცისფერი მთები, ანუ პრეზიდენტისთვის გაუგებარია, რატომ მოჰყვა „აღტაცება თუ გაბრაზება“ ავლაბრის რეზიდენციაში მის გადასვლას“, „ცისფერი მთები, ანუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები უკრაინაში მიემგზავრებიან“, „ცისფერი მთები, ანუ სევდია უგრეხელიძემ ევროსაბჭოში თბილისის მერიაში არსებულ სერვისებზე ისაუბრა“... და როგორც ვატყობ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება სერიალი სახელწოდებით „ცისფერი მთები, ანუ გიორგი მარგველაშვილი“.

გასულ კვირაში ორი სერია ვიხილეთ: „გიორგი მარგველაშვილი: „კარგი იქნება, რომ ზურა იყოს არა მოკლული, არამედ გაგუდული“ და „გიორგი მარგველაშვილი: „ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობის გარკვევის შესაძლებლობა არ მქონია“. პირველზე კომენტარს არ გავაკეთებ, უბრალოდ, ივანიშვილის სიტყვები მახსენდება, ისეთი პრეზიდენტი გვეყოლება, რომ ვერ წარმოიდგენთო“. მართლაც, ვერ წარმოვიდგენდი... რაც შეეხება მეორეს, ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობის გარკვევის შესაძლებლობა არ მქონიაო... დალოცვილო ან Skype არ იცი, ან Facebook, ან ტელეფონი არ გაქვს და ანაც მისამართი ხომ მაინც იცი? იტყვის, ტელეფონის ნომრები წამეშალაო. იტყვის და იქნებ ვინმემ დაუჯეროს კიდეც, აგრე ხომ გვჯეროდა, მარგველაშვილი ქსოვსო... კი არ ქსოვს, არამედ კერავს, უფრო სწორედ, სულ ერთხელ სცადა და მაშინაც კარგად გამოუვიდა — თვით ბიძო დაკერა ახლა კი უკვირს, რატომ მოჰყვა „აღტაცება თუ გაბრაზება“ ავლაბრის რეზიდენციაში ჩემს გადასვლას, გაუგებარიაო...

აი, ხომ ხედავთ — მთავარი მაინც გაგებაა.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ გინდა, გააგებინო, ამისთვის რამდენიმე ხერხი არსებობს, ტკბილი სიტყვიდან დაწყებული და წიხლქვეშ გაგდებით დამთავრებული.

გასულ კვირაში ფინანსური პოლიცია ცდილობდა, გაეგო რაღაცები და ამისთვის ვიღაცებს დაკითხვაზე იბარებდა. „ფინანსური პოლიცია პოლიტიკურ დევნას ახორციელებს“, — თქვა კოტე გაბაშვილმა და გაიფიქრა: „მაგას ისევ არმაგედონის ზანგი მირჩევნია“.

დამშვიდდით, კოტევ და ნაცებო, ეგეც იქნება და იმას, რაც იქნება, ხალხი და ჯამაათი თავის სახელს დაარქმევს — „არმაგედონი, ანუ მაკუმბა მაკუმბას შემდეგ“.

ერთი ნიუსიც და მორჩა: „როგორც ფილიპ დიმიტროვმა „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, იგი აქ არ იმყოფება იმისთვის, რომ ვინმეს რაიმე რეცეპტი მისცეს. „გეხვეწებით, ნუ მოელით ჩემგან, რომ მე შემიძლია მოგცეთ რეცეპტი, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ამ ქვეყანაში პოლიტიკური პირი“, — აღნიშნა ფილიპ დიმიტროვმა“.

ვინ გეხვეწება, ძმურად?

მ.რ.ვ.მ. (მე რა ვქნა, მეეე?!) „კარგი და, შენ როცა მოკვდები, მაშინ რას იტყვიან?“ — ჰკითხა სიკვდილთა ამ უცნაური კლასიფიკაციით შეძრწუნებულმა იპოლიტ მატვეევიჩმა. „მე პატარა კაცი ვარ. იტყვიან, ბეზენჩუკი გადაყირავდაო, მეტს არც არაფერს იტყვიან, — და მკაცრად დაუმატა, — მე ყუთში ჩახტომას ან მუხასავით წაქცევას ვერასოდეს ვეღირსები. მე ჩია კაცი ვარ...“

(ილია ილფი, ევგენი პეტროვი. „თორმეტი სკამი“)

რუსაპეტებო, დედები გყავთ?

გიორგი გიორგაძე

დღეს 31 მარტია — საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადებისა და რეფერენდუმის დღე. თავის დროზე, რეფერენდუმის 31 მარტს დანიშვნას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, აი, გამსახურდია საკუთარი დაბადების დღის უკვდავყოფას ცდილობსო. თუნდაც ასე ყოფილიყო, მერე რა?! — ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მთელი ცხოვრება ხომ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ!.. გამსახურდიას, როგორც დისიდენტსა და პრეზიდენტს, კი ბატონო, ჰქონდა შეცდომები, მაგრამ მთავარი შეცდომა არასოდეს დაუშვია ანუ ზუსტად იცოდა, რომ რუსეთი იმპერიაა, იმპერია, რომელიც საქართველოს შთანთქმაზე უარს არასოდეს იტყვის!

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმიდან 23 წელი გავიდა — მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომხრეა!

რა ხდება დღეს?

რა ხდება და, ვიღაც გოგო-ბიჭები, რომლებმაც ხეირიანად, ალბათ, სიტყვა „ოკუპაციის“ მნიშვნელობაც არ იციან, თბილისის ქუჩებში რუსეთის დროშაშემოხვეულები დარბიან და ხმისჩახლეჩამდე გაჰყვირიან, რუსეთი ოკუპანტი არ არისო.

ბავშვებო, რუსეთი, რასაკვირველია, ოკუპანტია და ამას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიხვდებით.

იმედია, იმასაც გააცნობიერებთ, რომ 20, გნებავთ, 25 ლარი 30 ვერცხლზე ბევრად ცოტაა!..

იუდა რომ გახდე, რაღაცით რჩეული უნდა იყო!..

ისე, თქვე მამაცხონებულებო, რა რუსეთის სიყვარული აგიტყდათ, დავიჯერო, შინ ტელევიზორი არ გაქვთ, თვალი ერთი წამით მაინც რომ შეავლოთ და დაინახოთ, მთელი მსოფლიო პირსისხლიან პუტინს რომ უპირისპირდება?

თავი რომ დიდ პატრიოტებად მოგაქვთ და ვენებს იჭრით, აშშ და დასავლეთი ქართველი ერის გარყვნას ცდილობენ, ტრადიციებს გვართმევენ და მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი გადაგვარჩენსო, საქართველოს ისტორიის წაკითხვა თუ გეზარებათ, ვინმეს მაინც ჰკითხეთ, საქართველოში მეფობა ვინ გააუქმა და საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ვინ წაართვა?

ამაზე დიდი გარყვნა რაღა გინდათ?!

ახლა რაც შეეხება 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, ოფიციალური მონაცემებით, რეფერენდუმში ანუ საერთო-სახალხო კენჭისყრაში მონაწილეობა ხმის უფლების მქონე მოქალაქეების 90-მა პროცენტმა მიიღო, საიდანაც 88 პროცენტმა კითხვაზე — „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ — დადებითი პასუხი გასცა.

იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეთნიკური არაქართველებით დასახლებულ რეგიონებშიც მოსახლეობამ მხარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა!

1991 წლის 31 მარტიდან ზუსტად 23 წელი გავიდა.

ამ ხნის განმავლობაში ქართულ პოლიტიკაში რა აღარ მოხდა — პირველი პრეზიდენტი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ქვეყანამ 9-წლიან ნაციონალურ სახადს თავი დააღწია, ზოგიერთი პოლიტიკოსი პოლიტიკიდან წავიდა, მსოფლიომ საქართველოს არსებობის შესახებ შეიტყო, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მეხუთე კოლონის აჩრდილი მაინც დაძრწის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რუსული „ველიკაია დერჟავა“ აქ, ჩვენთან თავს უწინდებურად მყარად გრძნობს!

საერთოდ, მე-18 საუკუნიდან ანუ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან მოყოლებული, საქართველოსთვის ე.წ. რუსული სირცხვილი უცხო არაა. მოღალატეებიც ყოველთვის მრავლად გვყავდნენ და გვყვანან...

რუსეთი ოკუპანტია!

თანამედროვე ორჯონიკიძეებო, აგვისტოს ომში დაღუპული ოკუპანტი რუსი ჯარისკაცების ხსოვნას ფეხზე რომ უდგებით, დედები გყავთ?

რუსეთი ოკუპანტია!

დღეს 31 მარტია — ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფერენდუმის დღე — 23 წლის წინ, სრულიად საქართველომ, ამ ქვეყანაში მცხოვრები ქართველებისა თუ ეთნიკურად არაქართველების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა!

რა იქნება 23 წლის შემდეგ — დავიბრუნებთ თუ არა რუსეთისგან მიტაცებულ ქართულ მიწებს?

ამ კითხვაზე პასუხს ისტორია გასცემს.

მანამდე კი... უბრალოდ, გვახსოვდეს, რომ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უჭერს და ერთიმუჭა რუსაპეტების გნიასი „რუსულ გაზაფხულს“, რასაკვირველია, ვერ მოიყვანს!

ხვალ ჩვენი დღეა ანუ რატომაა ქართველებისთვის მუდამ 1 აპრილი

გიორგი იაშვილი

ხვალ 1 აპრილია და ვინც განწყობაზე იქნება, შეეცდება, მეგობარი უწყინარი ტყუილით გაამხიარულოს (თუ ამას მხიარულება ჰქვია). რომელიმე ტელევიზია და რადიო (ძირითადად, უცხოური), რაიმე საერთაშორისო ტყუილს მოიფიქრებს, მაგალითად, ისეთს, თავის დროზე იტალიურმა ტელევიზიამ დიასახლისებს სპაგეტის ხე რომ აჩვენა და მერე ნახევარი იტალია ამ ხის ნერგს ეძებდა, პირდაპირ ტოტებიდან რომ მოეკრიფა. მოკლედ, გაერთობა მსოფლიო და ერთი დღე დაკანონებული ტყუილით იცხოვრებს. ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ და ის ავხსნათ, რატომაა საქართველოსთვის ყოველთვის პირველი აპრილი და რატომ ჰგონია ხელისუფლებასა თუ უცხოელს, რომ ქართველები მუდმივად უნდა მოგვატყუონ?

დიადი საბჭოეთის დროს აღარ გავიხსენებ და იქიდან დავიწყებ, დამოუკიდებლობა რომ მოვიპოვეთ. გვიმტკიცებდნენ, საერთოდ არაფერი გვინდა, მხოლოდ ჩაი და ბორჯომი გვეყოფა თავის სარჩენადო, მაგრამ ქართული ჩაი, უბრალოდ, აღარ არსებობს, ბორჯომი კი ქართულ ეკონომიკას ვერ გასწვდა. მერე, მთელი დანაზოგი ბანკებში შეატანინეს ერსა და ბერს, აქაოდა, გაგიორმაგდებათო და მართლაც გაუორმაგდათ, თუმცა იმ ფულს უკვე კუპონი ერქვა და მთელი ერი მშიერ მილიონერად იქცა. მერე აბრეშუმის გზასა და აბრეშუმის ძაფზე მცოცავ მილიონობით დოლარს დაგვპირდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, აბრეშუმის ჭია სათანადოდ ვერ გამოვკვებეთ და ეს ტყუილიც თუთის ნაყოფივით მივირთვით, პატარა კურკები კბილებში რომ იჭედება და ნერვებს გვიშლის, მაგრამ მაინც ჯიუტად ვჭამთ — გემრიელია და იმიტომ. აბრეშუმის გზის ტყუილი კარგა ხანს გვეგემრიელა, მაგრამ მოწყენა იცის ყველაფერმა.

მერე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი შემოგვაპარეს გუგულის კვერცხივით და ისე დახატეს, თითქოს მთელი ევროპა იმ „ტრუბაზე“ იქნებოდა დამოკიდებული, რომელსაც საქართველოში უნდა გაევლო, მაგრამ ოლოლო ჩვენ, ამ საქმიდანაც ვერ იხეირა ერმა (ვიღაცები დღემდე ხეირობენ, მაგრამ მოსახლეობა ამას ნაკლებად გრძნობს). მერე უკვე 9-წლიანი ტყუილების ეპოქა დაიწყო. ნაციონალურმა ხელისუფლებამ ტყუილი ხელოვნების დონეზე აიყვანა და ისე დახვეწა, კარგა ხანს ვცდილობდით რეალობისა და ილუზიის გარჩევას. პერიოდულად, უხილავ ტყუილებს ხილულიც ემატებოდა და ისეთი მოდელირებული „ქრონიკა“ გვაჭამეს, ნახევარი საქართველო ქვეყნიდან გარბოდა, მეორე ნახევარი სარდაფში, დანარჩენი კი შოკში იყო. ხელისუფლებამ ამაზე ბევრი იცინა, სხვა არაფერი გჯერათ და ეს როგორ დაიჯერეთო, მაგრამ ვერ ვისწავლეთ ჭკუა და ძალაა?!

ისე, ნაციონალურ ხელისუფლებას, მსოფლიოს მასშტაბით, უპრეცედენტო ტყუილის განხორციელება არ დასცალდა. ოცნების ქალაქი „ლაზიკა ოცნებადვე დარჩა, უფრო სწორედ, ეს პროექტი „ოცნებამ“ დაიწუნა და ისევ ძველ გზას დაადგა ანუ პატარ-პატარა ტყუილებით დაიწყო მოსახლეობის კვება. აქეთ ტარიფების განახევრებამ დალია ჩაილურის წყალი, იქეთ — პენსიების უპრეცედენტო ზრდის მოლოდინმა და ყველაფერს საარსებო მინიმუმის მაქსიმუმამდე გაზრდის დაპირების დავიწყება დაემატა. ეს შიდატყუილების არასრული ჩამონათვალია და რადგან საკუთარი ხელისუფლება არ გვინდობს, უცხოელებმა რატომ უნდა დაგვინდონ!

ყველაზე პერსპექტიულ ტყუილს — საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ბოლო ბარაკ ობამამ მოუღო. თუ არ მოუღო, გვარიანად გადაწია ეს ამბავი და თან ისე გვარიანად, ჩემი გადასახედიდან რომ არ ჩანს და ცხრა მთასა თუ ცხრა ზღვას იქით რა ხდება, აბა, რა გითხრათ? ტყუილი გამოდგა ევროპელების დაპირება, რუსეთთან მარტო არ დაგტოვებთო, რადგან ისე მარტივად შეგვატოვეს 2008 წელს გამძვინვარებულ დათვს, თითქოს აინტერესებდათ, აბა, რა მოხდებაო. ამ ტყუილის მთელი სიმწარე და გემო ახლა გავიგეთ, როცა ევროპამ თუ აშშ-მ ყირიმის „მშვიდობიან ანექსიას“ ისეთი მშვიდობიანი აღშფოთება მოაყოლა, რუსეთის ხელისუფლებაც კი გაოცებული დარჩა, ცოტა მაინც გაგვიწიეთ წინააღმდეგობაო. ისე, თუ გახსოვთ, აგვისტოს ომის დროს ამერიკელების ხომალდმა, ჰუმანიტარული დახმარების სახით, წყალი რომ მოგვიტანა? ეს ტყუილი და დაცინვა არ იყო, ეს გახლდათ პირდაპირი მინიშნება, წყალსაც წაუღიხართო და აკი, წაგვიღო კიდეც.

ამ სახალისო დღეს ნერვები ბოლომდე რომ არ მოგიშალოთ, წერტილსაც დავსვამ. თქვენ კი გახსოვდეთ, რომ ხვალ პირველი აპრილია და ახლობლებმა არ მოგატყუონ, თორემ ხელისუფლებისა და მსოფლიოსთვის საქართველოსთან მიმართებაში ერთი ჩვეულებრივი დღეა — ტყუილით მეტი, ტყუილით ნაკლები... რა პრობლემაა, ჩვენ ხომ იმას ვიჯერებთ, რაც გვინდა რომ დავიჯეროთ.

თემურ ალასანიას რჩევა ბიძინა ივანიშვილს

გაერო-ს განიარაღების კომისიის ყოფილი წარმომადგენელი, პოლიტოლოგი და საქართველოს ექსპრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს „აუცილებლად საკითხავზე“ მიუთითებს.

„არ ვისურვებდი, ახლა გავაკრიტიკო საქართველოს ხელისუფლება შიდაპოლიტიკის მიმართულებით. მოდი, ვისაუბროთ საგარეო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებზე. ჩვენი საგარეო პოლიტიკა დღეს უკიდურესად სუსტია. საერთოდ, ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა ყოველთვის სუსტია, როდესაც გარეფაქტორების გავლენის ქვეშ ფორმირდება, ხოლო უფრო ეფექტურია, როდესაც თავად ახდენს გავლენას გარე ფაქტორების ფორმირებაზე – ეს აქსიომაა. დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკა არათუ გავლენას ახდენს, არამედ არც კი რეაგირებს დროულად შექმნილ ვითარებაზე. როგორ მოხდა ასე, რომ საქართველოს ხმა, როგორც რუსეთის ყველაზე უფრო ძლიერი კრიტიკოსისა, საერთოდ დახშულია მაშინ, როდესაც უკრაინის მოვლენების ფონზე, წინა რიგებში უნდა მდგარიყო. რით აიხსნება ეს – უცოდინრობით, გამოუცდელობით თუ გააზრებული თამაშით, რომ მოდი, ჩვენ თქვენ არ გაგაკრიტიკებთ და თქვენ? აქ უკვე მრავალწერტილია და საინტერესოა, თქვენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაგვიბრუნებთ? ეს ხომ გულუბრყვილობაა“, — განაცხადა თემურ ალასანიამ.

მისივე თქმით, კონტექსტიდან ამოვარდნილ დისონანსად ჟღერს ამ ფონზე ბიძინა ივანიშვილის განცხადება – არ მჯერა, რუსეთს სხვისი ტერიტორიების მიტაცება სურდესო.

„როდის აქეთ, უკაცრავად?! ამ ადამიანს არასოდეს შეუსწავლია რუსეთის ეროვნული დოქტრინა და მისი ისტორია. ყველაზე არაობიექტური ისტორიკოსები მაინც წაიკითხოს, რადგან არ უსწავლია, რადგან არ ესმის, ჩვენი საზრუნავია, მათ ვასწავლოთ ან ავუხსნათ, ან, რადგან დაკავებული ხალხი ვართ და ცოტა დრო გვაქვს, მივუთითოთ მაინც იმაზე, რასაც დასავლეთის უნივერსიტეტებში „აუცილებელი საკითხავი“ ჰქვია“, — განაცხადა თემურ ალასანიამ.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „ვინც განიკითხავს სხვა ადამიანს, თვითონ ვარდება ცოდვაში!“

„როცა პატრიარქს ეტყვი, შენს განკითხვაში ვარო, ისიც უნდა უთხრა, რატომ“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას უწმინდესმა ერთი კვირის წინანდელი ამბავი გაიხსენა, როდესაც შევიდა სამებაში და ერთ-ერთმა ქალბატონმა უთხრა, რომ მის განკითხვაში იყო.

„ერთი კვირის წინ მოვედი აქ იმ დროს, როცა წირვა-ლოცვა არ იყო. ხალხი ბევრი იყო და ერთ-ერთი ქალბატონი მეუბნება, უწმინდესო, სულ თქვენს განკითხვაში ვარო. მე ვკითხე მას, რატომ ხარ-მეთქი განკითხვაში და უკან წავიდა. მართალია, განსაკითხავი ბევრია ჩემში, მაგრამ ასე თქმა, პატრიარქს რომ ეტყვი, შენს განკითხვაში ვარო, ისიც უნდა უთხრა, რატომ ხარ. ისიც უნდა უთხრა, რას ხედავ, იქნებ მე ვერ ვხედავ და ის ხედავს, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ“, — აღნიშნა პატრიარქმა.

ამასთან, შემთხვევა გაიხსენა, როდესაც ერთ-ერთმა ადამიანმა კალისტრატეს, ყოფილ პატრიარქს იუდა უწოდა. როგორც ილია მეორემ აღნიშნა, იმის მაგივრად, უწმინდესი აღელვებულიყო, მას უთხრა, რომ არ იყო იუდა და იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

„ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ განკითხვაში. შეიძლება მართლა ცოდვილია ადამიანი, შენ ხედავ იმის ნაკლს, მაგრამ იმას ხომ ვერ ხედავ, როგორ ინანიებს, როგორ დასცინის თავის თავს და ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა ადამიანი განსაკუთრებით ხედავს სხვის ცოდვებს, განკითხვაშია და თავის ცოდვებს ვერ ხედავს. რომელიც განიკითხავს სხვა ადამიანს, თვითონ ვარდება იმ ცოდვაში“, — ბრძანა უწმინდესმა.

ამასთან, პატრიარქმა უფალს სთხოვა იმის ძალა, რომ **„ჩვენ დავინახოთ ჩვენი ცოდვები და არ განვიკითხოთ ჩვენი მოყვასი“.**

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველოს 80% აშშ-მ დაიპყრო!“

იყო თუ არა ნაცმოძრაობის აქტივისტი და ვინ აფინანსებს პრორუსული აქციების ორგანიზატორ ელგუჯა ხოდელს

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

27 მარტს, პუშკინის სკვერში, არასამთავრობო ორგანიზაციის — „დედამიწა ჩვენი სახლია“ ინიციატივით, იმ 11 რუსი ჩინოსნის მხარდამჭერი აქცია გაიმართა, რომელთაც აშშ-მ, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, სხვადასხვა სანქცია და შეზღდუვა დაუწესა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი აქციაზე მხარზე რუსეთის დროშაშემოხვეული მივიდა... „ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ!“ — აცხადებს ელგუჯა ხოდელი, რომლის არასამთავრობოს დარეგისტრირებაში ფული, თავის დროზე, თურმე ერთ-ერთმა ნაცაქტივისტმა გადაიხადა.

— ელგუჯა, რუსეთისგან ოკუპირებულ საქართველოში მხარზე ოკუპანტის დროშაშემოხვეული დადიხარ და, ალბათ, რუსეთის პატრიოტი ხარ, არა?

— 9 წლის განმავლობაში, თუ აშშ-ს დროშას არ აფრიალებდი და ამერიკელების ინტერესების დამცველი არ იყავი, საქართველოს მოღალატედ გამოგაცხადებდნენ. სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია, რომ ტერიტორიები დავკარგეთ. 2008 წელს, სააკაშვილმა აფხაზეთი და ცხინვალი საბოლოოდ ჩააბარა. შეგახსენებთ მის სიტყვებსაც, მერე რა მოხდა, ერთორი სოფელი თუ დავკარგეთო...

— აფხაზეთსა და ცხინვალს რუსებმა პირველად 2008 წელს შეუტიეს?

— კი ბატონო, ვიცი, ადრე რაც ხდებოდა, მთვარიდან ჩამოსული არ ვარ... ნურავინ იტყვის, რომ ჩემზე მეტად სტკივა ის ბიჭები, ომში რომ დაიხოცნენ, მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ ამერიკელების ინტერესების გატარება საქართველოსთვის საზიანოა. 9 წლის განმავლობაში, ამერიკული სპეცსამსახურების საშუალებით, მოსახლეობის ტვინის გამორეცხვის პროცესი მიმდინარეობდა. ფაქტობრივად, თაობები იზრდებოდნენ იმ აზრით, რომ ყველაფერში დამნაშავე რუსეთია. სამწუხაროდ, აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოსთვის უკვე დაკარგულია, დანარჩენი 80% კი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიერაა ოკუპირებული.

— რა არის ოკუპაცია?

— ოკუპაციას რამდენიმე ფორმა აქვს და მხოლოდ ბომბების ჩამოყრას არ ნიშნავს. ფულითაც შეიძლება ქვეყნის ოკუპაცია, როცა ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც ყოდულობენ და დასავლეთიდან დაფინანსებული სექტები შემოყავთ.

— ოკუპაციის ახალი განმარტებისთვის მიგიგნია. არადა, ლექსიკონში ეს სიტყვა ასე იშიფრება — „რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება“...

— საქართველოს 80% აშშ-მ დაიპყრო! სააკაშვილი და მერაბიშვილიც მხოლოდ ამერიკელების დავალებებს ასრულებდნენ, მათ ქართველი ერის დამონების მეთოდიკაც შეიმუშავეს. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებისთვის მნიშვნელოვან მტრად მართლმადიდებლობა იქცა, ამიტომ საქართველოშიც ამ ინსტიტუტის განადგურება და დაშლა სურთ.

— საქართველოში მართლმადიდებლობა აშშ-ს ეკონომიკურ განვითარებას უშლის ხელს?

— თუ მტკიცებულებებზე დავიწყებთ საუბარს, ბევრი რამის დამტკიცებას შევძლებ... 9 წლის განმავლობაში პატრიარქზე მუდმივ ზეწოლას ახორციელებდნენ, პარალელურად კი, ამერიკულ ღირებულებებს აფეტიშებდნენ. ჩაშვების ინსტიტუტიც ხომ დასავლური სტილია.

— იმაზე მეტი ჩაშვება რაღა უნდა იყოს, რაც რუსმა პავლიკ მოროზოვმა გააკეთა!

— რუსეთს სხვანაირად უნდა მივუდგეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები გაიზრდება. მერწმუნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს თავს გვახვევენ, საქართველო მისი წევრი არასოდეს გახდება. ისე, ევროკავშირის შექმნა ადოლფ ჰიტლერის ოცნება იყო. ობამამაც გვითხრა, არ გვჭირდებითო.

— პუტინი ვინ არის?

— პუტინი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტია. უკაცრავად, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა არ მყოფნის გააზრება.... ყოველ შემთხვევაში, პუტინი საქართველოს მტერი არ არის. პუტინის ოკუპანტობას სამართლებრივად ვერავინ დაამტკიცებს.

— აფხაზეთი და ცხინვალი დაკარგულად რომ გამოაცხადე, კონფლიქტის მიზეზები თუა შენთვის ცნობილი?

— მესმის, ახლა რასაც ვამბობ, თავდაპირველად, რთული აღსაქმელია. შესაძლოა, ბევრისთვის მიუღებელიც იყოს, მაგრამ ჩემს ირგვლივ ადამიანების განწყობასაც კარგად ვხედავ. რეგიონებში ხშირად დავდივარ და ვიცი, ამერიკელების ხსენებით უმრავლესობა დაიღალა.

— რეგიონებში ახლა რომ დადიხარ, აქამდე სად იყავი ან რატომ არ დადიოდი 2008 წლის ომში რუსული დროშით?

— 2005 წლიდან სააკაშვილის რეჟიმს ვებრძვი, მაგრამ მაშინ ტელევიზიები არ მაშუქებდნენ, თან ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი, საქართველოში ღირსეული ადამიანი მეპოვა, რომელსაც მებრძოლად გავყვებოდი. სამწუხაროდ, იმედგაცრუებული ვარ, ამიტომ მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სხვებს კი არ ვუყუროთ, ჩვენ თვითონ დავიცვათ ის, რისიც გვჯერა. რუსეთის დროშასთან ერთად კი, ნამდვილად არ დავბადებულვარ. ისე, რომ იცოდეთ, დასავლურ ღირებულებებზე აღზრდილი ვარ და არ მიმაჩნია, რომ ევროპა მხოლოდ ფრანგული კაბა და გერმანული მანქანაა.

— წეღან მიმტკიცებდი, დასავლური ღირებულება ჩაშვებაა, ახლა კი თავს იწონებ, დასავლურ ღირებულებებზე ვარ გაზრდილიო. იქნებ, ჩამოყალიბდე, რა არის ევროპა?

— ევროპულ კულტურას დიდ პატივს ვცემ, ფილოსოფოსებს, ხელოვნებასა და მუსიკას... ჩასაფრებულ პოზიციაში არ ვარ, უბრალოდ, ვხედავ, რომ საქართველო აშშ-სთვის მხოლოდ საჯილდაო ქვად იქცა. სანამ საქართველოში იქნებიან პოლიტიკოსები, რომლებიც აშშ-თი სპეკულირებას ცდილობენ, ჩვენ ქვეყანას საშველი არ აქვს.

— ევრაზიუილი კავშირი გვიშველის?

— რომ გავგიჟდეთ ყველანი და რუსეთს ვუთხრათ, შეგვიერთეო, რუსეთი არ მიგვიღებს. უბრალოდ, ვლადიმერ პუტინს უნდა ვუთხრათ, გეოპოლიტიკური მტრების მოკავშირეები არ ვართ და საქართველოს ტერიტორიაზე, მოსკოვის მიმართულებით ამერიკული რაკეტების დაყენებას არ შევეცდებითო. თუ ასე მოვიქცევით, საქართველო დამოუკიდებლობის ხარისხს არ დაკარგავს.

— იცი, გეორგიოვსკის ტრაქტატი რა არის?

— ამ თემაზე საკმაოდ სერიოზულად შემიძლია საუბარი. გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველომ დაარღვია... არ მინდა, პოლიტიკოსებს დავემგსვასო და ისტორიულ წიაღსვლებში წავიდე. ერეკლე მეორეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მისმა მეუღლე დარეჯანმა საქართველოში მეფის არჩევის წესის შეცვლა მოინდომა, გიორგი მეთორმეტე კი რუსეთის მთავართან მივიდა, ტრაქტატი არაფერს ნიშნავსო...

— შენთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის?

— არა, როგორც მასწავლეს, აღმოსავლეთიდან, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა აუცილებელია. იცით, რატომ არ მიყვარს ამერიკული ღირებულებები, მათ ასეთი ლოზუნგი აქვთ — რასაც ფულით ვერ იყიდი, მას კიდევ უფრო დიდი ფულითი იყიდი. მე კი, სამშობლოს ფულზე არ გავყიდი.

— შენ ვინ გაფინანსებს?

— 2003 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია დავაფუძნე, რომელშიც 51 ლარი გადავიხადე.

— ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი იყავი...

— არა, შევარდნაძის დროს ადვოკატად ვმუშაობდი და ჩემთვის მის წინააღმდეგ წასვლა ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერას არ ნიშნავდა. როგორც იტყვიან, გაღმა შეედავეო... ვიმეორებ, სააკაშვილის წინააღმდეგ 2005 წლიდან ვიბრძვი.

— თუმცა, არც ერთ საპროტესტო აქციაში აქტიური არ ყოფილხარ...

— გამარჯობა-გამარჯობით არავისთან ვყოფილვარ, მაგრამ აქციებზე ყოველთვის დავდიოდი. ერთ-ერთ აქციაზე მცემეს კიდეც, შემდეგ კორპუსებში დავიმალეთ და ერთ ოჯახს შევაფარე თავი. ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა საქართველოს ხელისუფლებაში იქნებიან ადამიამები, რომლებთვისაც ქართველი ხალხის ინტერესები უმთავრესი იქნება. იქამდე მივედით, რომ სტუმართმოყვარე ერს სტუმრის მიღების გვეშინია. სირცხვილია...

— საქართველოს ე.წ. საზღვართან მცოცავი მავთულხლართების პრობლემა თუ გიქმნის დისკომფორტს?

— ვიმეორებ, სანამ საქართველოში იქნებიან პოლიტიკოსები, რომლებიც მხოლოდ ნატო-ს იყვირებენ, პრობლემები მუდმივად გვექნება.

ვის თამაშს თამაშობს გია ხუხაშვილი ამჯერად?

მარადიული მოხეტიალე ექსპერტი ახალ პატრონს ეძებს

გიორგი იაშვილი

გია ხუხაშვილი კვლავ გამოჩნდა მედიაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხუხაშვილი არასოდეს არსად წასულა, სულ იდგა ჩრდილში და მხოლოდ საჭირო მომენტში გაიელვებდა ლანდივით საზოგადოების წინაშე. იყო ყველგან, შევარდნაძის პერიოდში, შემდეგ სააკაშვილის დროს და ახლა „ქართული ოცნების“ ხანაში. მეგობრობდა ბადრი პატარკაციშვილთან, ვანო ჩხარტიშვილთან, ბიძინა ივანიშვილთან — მხოლოდ უმდიდრესებთან. ერთი პერიოდი თანამშრომლობდა აშშ-ს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უკეთებდა მათ ჩადებული ინვესტიციებისა და გაცემული გრანტების მონიტორინგს, შემდეგ ეს მუშაობა ამერიკელებმა დაიწუნეს და ხუხაშვილი იქიდან გამოუშვეს. შემდეგ იყო ჟვანიას მრჩეველი ეკონომიკისა და ენერგეტიკის საკითხებში, რისთვისაც დაიმსახურა დირექტორთა საბჭოს წევრის ადგილი შპს „საქართველოს რკინიგზაში“. რკინიგზა ხუხაშვილის საყვარელი ეკონომიკური სფეროა. თავად რკინიგზაში კი — ნავთობის გადაზიდვები. პატარკაციშვილთანაც მრჩეველი იყო პოლიტიკის დაგეგმვაში ჩხარტიშვილთან, „სოკარში“ მრჩეველიც და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიც. ივანიშვილთან იყო ყველაფრის მრჩეველი — ბიზნესშიც, ეკონომიკაშიც, პარტიულ კადრებშიც, საზოგადოებასა და საერთაშორისო ურთიერთობებშიც.

ჟვანიასთვის მიცემულმა რჩევებმა შედეგად მოიტანა რკინიგზის გადაქცევა სააკაშვილის მთავარ დამფინანსებლად, თუმცა ამას თავის ფასი ჰქონდა. პატარკაციშვილის პოლიტიკურ მრჩევლობას რა შედეგიც მოჰყვა, ყველამ კარგად იცის; ჩხარტიშვილის მრჩევლობა დიდხანს არც გაგრძელებულა; ივანიშვილის გამოჩენამ ხუხაშვილი მაშინვე გააცია იმ პირის მიმართ, ვინც იგი, თავის დროზე, უმუშევრობისგან იხსნა. მოგვიანებით, ეს გაციება გადავიდა აქტიურ ფაზაში, რადგან კვლავ საინტერესო იყო პატარკაციშვილების ოჯახი, თან შეიძლებოდა კარგი ლავირება ივანიშვილისა და ჩხარტიშვილის შორის შუღლის გაღვივებისთვის.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, რომ არა ივანიშვილის უცხოელი მეგობრის ჩამოსვლა საქართველოში. ის მეგობარი ასევე მეგობრობდა ჩხარტიშვილთან და სრულიად შემთხვევით შეიტყო მისგან ივანიშვილთან არსებულ გაუგებრობაზე. მოკიდა ხელი, მიიყვანა ივანიშვილთან და ყველაფერი გაირკვა. უთანხმოების მიზეზი ხუხაშვილი აღმოჩნდა. ამის შემდეგ დაიწყო ხუხაშვილის შავი პერიოდი ცხოვრებაში. პატარკაციშვილების ოჯახთან მეგობრობა საკმარისი არ იყო. სწორედ ხუხაშვილმა გადაიბირა ნაციონალების ერთ-ერთი „მოზგი“ შიხიაშვილი და მისი მეშვეობით გაშიფრა კეზერაშვილის ბიზნესიმპერია, რომელიც აფინანსებდა სააკაშვილის პარტიას. ამ გაშიფვრას არანაირი სარგებელი არ მოუტანია საქართველოსთვის, რადგან ასევე ხუხაშვილის ჩარევით, ეს ბიზნესები გადაუფორმდა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენ დავით იაკობაშვილს. იაკობაშვილსა და ივანიშვილს შორის კი არცთუ მეგობრული ურთიერთობაა. იაკობაშვილი ვერ მართავს კეზერაშვილის ბიზნესს და რომც მართავდეს, რა? ნაციონალურ მოძრაობას აღარ შეუძლია ამის გამოყენება.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დიდ პოლიტიკას ჩამოშორებული ხუხაშვილი ცდილობს, ყველაზე იყაროს ჯავრი და ისევ „მიუკერძოებელი ექსპერტის“ როლში. ძნელი მისახვედრი არაა, რატომ არ იკავებდა „ყველაფრის ექსპერტი“ არასოდეს არანაირ ოფიციალურ პოსტს — იმიტომ, რომ არ სურდა, პასუხისმგებლობა აეღო, მისთვის უფრო კომფორტული იყო „მრჩევლის“ როლი. მრჩევლის სტატუსით ახერხებდა, საკუთარი კადრებით დაეკომპლექტებინა მისთვის მნიშვნელოვანი სტრუქტურები და შემდეგ გამოეყენებინა ისინი. თუ რამე მოხდებოდა და სხვა სიო დაუბერავდა, ხუხაშვილი ქრებოდა და ჩნდებოდა უკვე „დამოუკიდებელი ექსპერტის“ რანგში. ამჯერადაც, დაინახა, რომ მისმა ინტრიგებმა მორიგი პრობლემები შეუქმნა მორიგ დამკვეთს და გაქრა, სამაგიეროდ, გამოჩნდა ექსპერტად და ივანიშვილისგან გაკრიტიკებულ პრეზიდენტ მარგველაშვილს გამოექომაგა და იქვე, ისე რა, ვითომ გაკვრით, მოიხსენია პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი, რომელზეც თურმე, ივანიშვილს ცუდ ინფორმაციებს აწვდიდნენ. ჰოი, წმინდა უმანკოებავ, ვინ, თუ არა ხუხაშვილი იყო უსუფაშვილის პირველი ოპონენტი შუშის სასახლის კარზე, თუმცა სადაც თავის გადამრჩენლებს ეომებოდა, რა გასაკვირია, ყოფილ მტერს გამოექომაგოს არამკითხედ?! აი, მარგველაშვილი კი, შესაძლოა, ხუხაშვილის კანდიდატურაც იყოს. იმ პერიოდში ივანიშვილი ხომ ხუხაშვილს მართლა ექსპერტად მიიჩნევდა. დღეს ხუხაშვილი მარგველაშვილის დამცველია, ხვალ თუ ივანიშვილმა კიდევ ვინმე გააკრიტიკა, იმას გამოექომაგება და ა.შ. მანამდე, სანამ არ გამოჩნდება ახალი საინტერესო და სარფიანი ფიგურა, რომელსაც დასჭირდება „კარგი“ მრჩეველი.

მხოლოდ ხუხაშვილი იყო, ვისაც „გულწრფელად“ გაუხარდა მარგველაშვილის კრიტიკა. მხოლოდ ის და, სავარაუდოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავად იყო ერთ-ერთი პირველი „გაშვებული“ გუნდიდან.

პრეზიდენტისა და პრემიერის ფარული ომი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ექსპერტი კახა კახიშვილი მოქალაქეობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტს ეხმაურება და აცხადებს, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც პირისთვის მოქალაქეობის მიცემაზე პრეზიდენტის გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას უნდა დაექვემდებაროს, ცოტა ნაჩქარევია: „ჩვენ ვცხოვრობთ ახალი მოდელის პირობებში, სადაც პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება სხვაგვარადაა გაწერილი. იმავდროულად, ამ უფლებამოსილების დეტალიზაციის მიზნით, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც უნდა დადოს ერთი წლის განმავლობაში კონსტიტუციის ახალი მოდელი და მკვეთრად გამიჯნოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და სხვა კონსტიტუციური ინსტიტუტების კომპეტენცია. თუ ცვლილებები ნაწილ-ნაწილ შევიდა, მაშინ საკონსტიტუციო კომისია საერთოდ რაში გვჭირდება?!“

კახიშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციის გარეშე, მარგველაშვილი მოქალაქეობას 5 ადამიანზე მეტს მიანიჭებს თუ ნაკლებს, ამით ქვეყანა არ დაინგრევა: **„ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილება ეჭვს აღრმავებს საქართველოს მოსახლეობაში, რომ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის გარკვეულ საკითხებში უთანხმოებაა და არის მცდელობა, პრეზიდენტი მაქსიმალურად უფუნქციოდ დატოვონ. თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდა, საერთოდ ვერ ვხედავ საჭიროებას, რატომ უნდა დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტმა აპარატი და თანამდებობის პირი, რომელსაც ფუნქცია არ გააჩნია“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, კახა კახიშვილი ასევე განმარტავს, რომ მიღებული გადაწყვეტილებით, პრეზიდენტს აღარ დასჭირდება პრემიერის კონტრასიგნაცია მოქალაქეობის მიცემასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, იყო გარკვეული მცდელობა პრეზიდენტის უფუნქციოდ დატოვებისა, რაც მიუღებელია:

„ვერ გავიგე, რატომ დადგა საჭიროება, მარგველაშვილს ის ფუნქციებიც კი შეუკვეცონ, რომელიც აქვს, ამიტომ მივიჩნევ, რომ პარლამენტში ინიცირებული ცვლილებები ნაჩქარევია. თუ პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებამოსილების კომპეტენციის ზღვრის ახლებურად დადგენაა საჭირო, საამისოდ საკონსტიტუციო კომისიაა შექმნილი და მსჯელობა მისი ქოლგისქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. ამ სახელმწიფო კომისიამ ახალი მოდელი უნდა წარადგინოს, სადაც უფლებამოსილებანი ნათლად იქნება განაწილებული, მით უმეტეს, რომ ამ კომისიაში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს როგორც პრეზიდენტს, ასევე პრემიერ-მინისტრს, კომისიას კი პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. მომხრე ვარ, ასეთი სადავო საკითხები ჯერ პოლიტიკური გუნდის შიგნით წყდებოდეს და საზოგადოების სამსჯავროზე მერე გამოდიოდეს“.

კითხვაზე, რომელი მოდელი აჯობებს — დღევანდელი თუ ისევ ძველ პრინციპებზე დაბრუნების საჭიროება იკვეთება, კახა კახიშვილი პასუხობს:

„იმიტომ შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომ საზოგადოებასთან ერთად გააანალიზოს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციები სახელმწიფოს მართვის მოდელთან დაკავშირებით. მსოფლიოში მმართველობის გამიჯვნის ბევრი ვერსია არსებობს, ამ კომისიამ უნდა გააანალიზოს და მიიღოს ისეთი ვარიანტი, რომელიც ქვეყანას განვითარებისკენ წაიყვანს და არა რეგრესისკენ. წინსვლა რეალური, ხელშესახები უნდა იყოს და არა შაბლონური. მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ ესა თუ ის სისტემა, ამა თუ იმ ქვეყანაში წარმატებული მართვის საწინდარია, საკმარისი არგუმენტი არაა. ყველა მოდელს თვის პლუსი და მინუსი აქვს.“

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონპროექტი, რომლის ავტორი იუსტიციის სამინისტროა, ინიციატორი კი მთავრობა, პარლამენტს იანვრის ბოლოს წარედგინა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტს 3 თებერვალს მიაწოდა. საუბარი იყო პროცედურაზე, როცა პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალაში ვერ შევა.

ალექსანდრე ლუკაშენკო: „პუტინმა დიქტატორობაში მაჯობა!“

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო თავს ევროპის ბოლო დიქტატორად სულაც არ მიიჩნევს და აცხადებს, მართალია, მედიაში ხშირად სწორედ ასეთად მომიხსენიებენ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ამ საქმეში მაჯობაო.

„მას ვეუბნები: უკვე მაჯობე და მადლობა ღმერთს ამისათვის, ახლა შენ მოგაწერენ ყველაფერს. ისიც იცინის და მეც“, — აცხადებს ლუკაშენკო და აღნიშნავს, რომ თავს დიქტატორად არ მიიჩნევს. ის აცხადებს, რომ შესაძლოა, ყოფილიყო კიდეც დიქტატორი, მას ამისთვის საკმარისი რესურსი რომ ჰქონდეს.

„შესაძლოა, ვყოფილიყავი კიდეც დიქტატორი ამისთვის რესურსი რომ მქონდეს. რომ იყო სტალინი — საბჭოთა კავშირი უნდა გქონდეს და უნდა გქონდეს ბირთვული იარაღი. აი, მაშინ შეიძლება ვინმეს რამე უკარნახო, მაგრამ ბელორუსებს ჩვენი ადგილი ამ ცისქვეშ ძალიან კარგად გვესმის. მთავარია, ჩვენი არ მივცეთ ვინმეს და დავიცვათ, არათუ ვინმეს რამე ვუკარნახოთ“, — აცხადებს ლუკაშენკო და აღნიშნავს, რომ **„უტვინო უნდა იყო, ბელორუსში თავს დიქტატორად რომ გრძნობდე“.**

„ჯი-ეიჩ-ენი“

ციტრუსის ექსპორტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

2013-2014 წელს, აჭარიდან 65 000 ტონაზე მეტი ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული მანდარინი რეალიზაციისთვის 9 ქვეყანაში გაიტანეს, მათ შორის რუსეთშიც, სადაც ბოლო 9 წელია ექსპორტი არ განხორციელებულა.

„ციტრუსის სუბსიდირებაზე, 13 800 000 ლარი გამოიყო, აქედან 12 000 000 სტანდარტული მანდარინის სუბსიდირებისთვის (ყოველ კილოგრამზე — 15 თეთრი, ხოლო არასტანდარტულზე — 10 თეთრი)“, — განაცხადეს სამინისტროში.

ციტრუსის სეზონთან დაკავშირებით, რეგიონში მიმღებ-გადამამუშავებელი 33 საწარმო შეიქმნა, მათგან ყველაზე მეტი — 13 000 ტონა არასტანდარტული მანდარინი ქობულეთის საკონსერვო ქარხანამ მიიღო. ეს საწარმო „აქტივების მართვის ქართულ ინდუსტრიულ ჯგუფს“ ეკუთვნის.

ექსპერტთა გათვლით, 2013 წელს, 110 000 ტონა ციტრუსი მოვიდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2013 წელს მანდარინისა თუ ფორთოხლის ექსპორტიდან, რეკორდულად მაღალი თანხა — 20 000 000 აშშ დოლარი შემოვიდა. რუსეთის ემბარგომდე, 2005 წელს ციტრუსის ექსპორტის მოცულობა 6 000 000 აშშ დოლარი იყო, 2009 წელს 16 000 000.

BPI

ბიზნესმენი ჯონი გიგანი 20-წლიან დუმილს არღვევს

ვანო პავლიაშვილი

2002 წლის გაზაფხულზე სასტუმრო „აჭარასთან“ სახალხო პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის სიძის, ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანა ააფეთქეს. ბედად, ბიზნესმენის ქალიშვილი, პიანისტი ირმა გიგანი და მომღერალ მამუკა ჩარკვიანის ვაჟი მანქანიდან რამდენიმე წუთის გადასულები იყვნენ... გამოძიება საბჭოთა უშიშროების სტაჟიან თანამშრომელზე, ალექსანდრე (საშა) მაისურაძეზე გავიდა, რომელიც, თავის მხრივ, ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილთან იყო დაკავშირებული. მართალია, აწგანსვენებული ოლიგარქი მაისურაძესთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა სააკაშვილის სპეცრაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა, გაირკვა, რომ საშა მაისურაძე ჰოლდინგის დაცვის უფროსი იყო... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაისურაძე ციხიდან გამოუშვეს. ბიზნესმენი ჯონი გიგანი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ მაისურაძის ციხიდან გამოშვება პატარკაციშვილ-ჟვანიას ფინანსური გარიგების შედეგი იყო. ამასთან, ბიზნესმენი, რომელსაც ინტერვიუ არასოდეს მიუცია და, რომელზეც ბოლო ოცი წლის განმავლობაში, თავდასხმა არაერთხელ მოხდა, „ვერსიას“ ექსკლუზიურად სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციებსაც აწვდის...

რა სკანდალურ ბრალდებებს უყენებს გარდაცვლილ პატარკაციშვილსა და ჟვანიას

— ბატონო ჯონი, როგორც ვიცი, დღემდე ჟურნალისტებს თავს არიდებთ. ახლა კი, როცა ამბობენ, ნაციონალების ცხრაწლიანი ტერორი ისტორიას ჩაბარდაო, საჯარო განცხადებების გაკეთება გადაწყვიტეთ. რატომ?

— ნაციონალების დროს გაუბედურებული ბევრი ოჯახი ვნახეთ, მე კი ტერორისტული აქტი მანამდეც რამდენჯერმე მომიწყვეს. ბოლოს ოჯახი ამიფეთქეს...

— თქვენს წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტებში ვინ იყო გარეული?

— ბადრი პატარკაციშვილი და ზურაბ ჟვანია ანუ ბოლო აფეთქება საშა მაისურაძემ განახორციელა, რომელიც პატარკაციშვილთან მუშაობდა და რომელიც ჟვანიამ გამოუშვა.

— რას ნიშნავს, „გამოუშვა“?

— მთელი საქართველო აღშფოთდა, მათ შორის მეც, როცა სააკაშვილმა გირგვლიანის მკვლელები ციხიდან გამოუშვა... აი, ჟვანიაც ზუსტად ასე მოიქცა. მართალია, გირგვლიანის ოჯახის მსგავსად, ჩვენი არ ამოწყდა, მაგრამ აფეთქების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ჩემი მეუღლე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფებოდა და ბავშვი ფანჯარასთან რომ მიდიოდა, ყვიროდა, შვილო, თავი გაწიე, არ გესროლონო.

— აწგანსვენებული ოლიგარქი რას გერჩოდათ ან რით ამტკიცებთ, რომ ამ აფეთქების უკან პატარკაციშვილი იდგა?

— გამოძიებას საამისოდ ყველანაირი მტკიცებულება ჰქონდა; მაგალითად, შემთხვევის ადგილას და საშა მაისურაძის სახლში აღმოჩენილი „ტროტილი“, ასე ვთქვათ, ერთნაირი იყო... სხვათა შორის, პატარკაციშვილი ამტკიცებდა, მაისურაძეს არ ვიცნობო, მაგრამ 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა სააკაშვილის სპეცრაზმი „იმედში“ შევარდა, აღმოჩნდა, რომ საშა მაისურაძე პატარკაციშვილის ჰოლდინგის დაცვის უფროსი იყო ანუ არათუ იცნობდა, არამედ მისი მარჯვენა ხელი ყოფილა დაცვისა და მკვლელობის დარგში... ყველაფერი კი „დინამოს“ გამო მოხდა — შს მინისტრობის დროს, კახა თარგამაძე „დინამოში“ უკანონოდ შევარდა...

— ანუ „დინამო“ თქვენი იყო და წაგართვეს?

— დიახ, ჩემი იყო, სწორედ ამიტომ გავეჩხირე ყელში თარგამაძეს, პატარკაციშვილსა და ჟვანიას.

— „დინამო“ რომ არ გადაგეფორმებინათ, რა მოხდებოდა?

— რომ არ გადავაფორმე, სწორედ ამიტომ მკლავდნენ!

— ეს აფეთქება, როგორც მახსოვს, 2002 წლის გაზაფხულზე მოხდა. იმხანად, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო, რომელთანაც თქვენი სიმამრი, სახალხო პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი მეგობრობდა. მართალია, კახა თარგამაძესა და ზურაბ ჟვანიას ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ორივე შევარდნაძესთან დაახლოებულად ითვლებოდა. პრეზიდენტმა ვერ დაგიცვათ?

— იცით, რაშია საქმე? მაშინ საქართველოში რუსული უშიშროების ფლანგი ძალიან ძლიერი იყო და ამ საკითხებში შევარდნაძე არაფერს წარმოადგენდა — რამდენჯერმე თვითონაც ააფეთქეს... პატარკაციშვილი, ჟვანია და საშა მაისურაძე საქართველოში რუსული „გერეუს“ პირდაპირი წარმომადგენლები იყვნენ!

— ამ ბრალდებას როგორ დაადასტურებთ?

— პატარკაციშვილმა ერთხელ თქვა, ყოფილი „კაგებეშნიკები“ არ არსებობენო. მაისურაძე „კაგებეს“ ოფიციალური პოლკოვნიკი იყო და თუკი მათ საქმეებს ჟვანია „აპრავებდა“, ესე იგი, რა გამოდის? შევარდნაძე რომ გადააყენეს, ივანოვი ვისთან ჩამოვიდა — სააკაშვილსა თუ ჟვანიასთან?

— ივანოვი პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხთან ჟვანიასთან ერთად მივიდა...

— როგორც ადამიანს, ხომ მაქვს უფლება, ვიფიქრო, რომ ჟვანია რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა?

— რა თქმა უნდა, გაქვთ, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სააკაშვილისა და „გერეუს“ კავშირებს ამტკიცებენ...

— გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო, მაგრამ იცით, ამ ყველაფერს ახლა რატომ ვამბობ? — იმიტომ, რომ პარტიები ცდილობენ, ჟვანია ისე წარმოაჩინონ, როგორც გმირი. სინამდვილეში, ჟვანია გმირი კი არა, ძალიან ცუდ საქმეებში ფულისამღები იყო... პუტინის წარმომადგენელმა, უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ქვეყანა ისე გააკოტრა, უკრაინას იმის ფულიც აღარ აქვს, ტანკში სანწავი ჩაასხას და დამპყრობელ რუსეთს ეომოს. თავის დროზე, ჟვანიამაც ეს გააკეთა — ერთ დღეში ისეთი საგადასახადო კოდექსი მიიღო, მთელი საქართველო მათხოვრად აქცია ანუ ბიზნესმენები და მეწარმეები ხარჯვით ნაწილში დაბეგრა. გარდა ამისა, შევარდნაძე უცხოეთში რომ დადიოდა და საქართველოსთვის ფულს შოულობდა, ამ ფულის დახარჯვა სამინისტროებს პარლამენტის რატიფიცირების გარეშე არ შეეძლოთ. ყველაფერი ეს ჟვანიამ, ჩემი აზრით, „გერეუს“ დავალებით გააკეთა, რადგან ქვეყანა გაღატაკებულიყო, დაეჩოქა და რუსეთის ფარქვეშ ყოფილიყო...

— ბატონო ჯონი, ეს თქვენი აზრია, ფაქტი კი ჟვანიას ცნობილი ფრაზაა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!“ ამასთან გარდაცვლილმა პრემიერმა საფუძველი არაერთ დემოკრატიულ ინსტიტუტს ჩაუყარა, მათ შორის პარლამენტსაც...

— საერთოდ, ქართველებს კარგი ზღაპრები გვაქვს... დიახ, გეთანხმებით, ჟვანიამ რაღაც კარგიც გააკეთა, რადგან მხოლოდ ცუდი რომ ეკეთებინა, ხალხი არ ენდობოდა და ეს პოლიტიკაა. ჩემი აზრით, მოჩვენებით კარგს იმიტომ აკეთებდა, ხალხის ნდობა ჰქონოდა... სხვათა შორის, როცა საგადასახადო კოდექსს იღებდნენ, ჯანსუღს ვუთხარი, ქვეყნის დამაქცევარ კანონს ხმა არ მისცე-მეთქი. მეორე დღეს, პარლამენტში გამოვიდა და ჩვეული იუმორით განაცხადა, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემმა სიძემ მითხრა, ხმა არ მისცე და არ ვაძლევო... მოკლედ, ამ საგადასახადო კოდექსით ბიზნესი „გაშავდა“. ბიზნესს იმიტომ აკეთებ, ფული იშოვო ანუ გლეხურად რომ ავხსნა, ფულს ბრუნვა ჰქონდეს, ამ კანონით კი, ვთქვათ, ვიდრე სახლს ააშენებდი, 120 პროცენტი უნდა გადაგეხადა...

გახსოვთ, შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი რომ იყო? მაშინ ყველამ იცოდა, ყალბი დღგ-ს ფაქტურები იყო დაბეჭდილი — ესე იგი თანხა, რომელსაც ვიხდიდით, ბიუჯეტში არ მიდიოდა. ყველაფერი ეს საქართველოსთვის კატასტროფა იყო და არავინ უნდა გამოიძიოს? იმავე პერიოდში ათასნაირი დაჯგუფება შეიქმნა და ყველას უკან პატარკაციშვილი და ჟვანია იდგნენ. ეს რეალობაა!

— ბატონო ჯონი, შეგეძლოთ, ყველა ეს ინფორმაცია ედუარდ შევარდნაძისთვის მიგეწოდებინათ. ასე რატომ არ მოიქეცით?

— აზრი არ ჰქონდა, რადგან ჟვანია ყველაფერს კარგად ფუთავდა და ვერაფერს დავამტკიცებდი.

— დღეს როგორღა დაამტკიცებთ?

— ჯერ ერთი, ეს ისტორიაა; მეორეც, ყველა კრიმინალის უკან, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, „კაგებე“ იდგა, საქართველოში კი „კაგებეს“ ფინანსური წარმომადგენელი პატარკაციშვილი იყო, რომელსაც სამასკაციანი ჯგუფი ჰყავდა...

— რუსეთში მოღვაწეობისას პატარკაციშვილთან ურთიერთობა გქონდათ?

— არა, თუმცა რუსეთში მისი მოღვაწეობის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი.

— ესე იგი, პატარკაციშვილისთვის მიუღებელი მხოლოდ „დინამოს“ გამო გახდით?

— არა, მიუღებელი პოლიტიკურად ვიყავი — მე რუსეთი კი არა, ევროპა და ნატო მინდა, იქნებ რამე გვეშველოს! თან, სოლიდური ბიზნესის მქონე ადამიანი, რომელსაც ვერ მართავდნენ, მათთვის მიუღებელი იყო. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც ბიზნესს ვეღარ ვაკეთებდი.

— საშა მაისურაძე, როგორც ვიცი, ნინო ბურჯანაძემ 40-დღიანი პრეზიდენტობისას შეიწყალა...

— კი არ შეიწყალა, გაამართლეს... ისე, დღეს ნინო სად არის? — პუტინთან. ნინო პოლიტიკაში ჟვანიამ მოიყვანა, ესე იგი, ვინ იყო ჟვანია? — „კაგებე“. არ მჯერა, რომ „კაგებე“ საქართველოსთვის კარგ რამეებს აკეთებს...

— ამის არც მე მჯერა, მაგრამ ბატონი ჯონი, ხომ შეგეძლოთ, ყველაფერი ეს მაშინ გეთქვათ, როცა პატარკაციშვილიც ცოცხალი იყო და ჟვანიაც? გარდაცვლილებზე აუგის თქმა, მინიმუმ, უხერხულია...

— იცით, რა არის? — დადგა დრო, როცა ყველაფერი უნდა ითქვას. პატარკაციშვილი და ჟვანია რომ გარდაიცვალნენ, გავჩუმდი, ჩემს მეუღლეს, თაკო ჩარკვიანსაც ვუთხარი, ოჯახებმა მათი მოქმედებების შესახებ შეიძლება, არაფერი იციან და გავჩუმდეთ-მეთქი. სხვათა შორის, პატარკაციშვილის ოჯახისგან ახლა რაღაც სითბოს ვგრძნობ და მსიამოვნებს... რაც შეეხება ჟვანიას, ჩემი აზრით, ოჯახმა ცოტა რიდით უნდა იმოქმედოს და გმირად არ გამოაცხადოს, რადგან ჟვანიას, ჩემნაირად, ძალიან ბევრი ჰყავს განადგურებული! ჩემი ოჯახის პირდაპირი ამფეთქებელი ჟვანია არაა, მაგრამ მის ოჯახს ვეუბნები: ჟვანია ჩემთვის ორჯერ მკვლელია, რადგან ჩემი ოჯახის მკვლელი გარეთ გამოუშვა! ჟვანია მაფია იყო და სახელმწიფოსთან საერთო არაფერი ჰქონდა!

მიხეილ სააკაშვილმა რაღაც ფული ახსენა, რაც დიდი ხანია, ვიცი...

— რა იცით?

— პატარკაციშვილმა ჟვანიას მილიონები მისცა, რომ საშა მაისურაძე გამოეშვა.

— თანამდებობრივად, ჟვანიას ციხიდან ვინმეს გამოშვება არ ეხებოდა...

— კი, ბატონო, მაგრამ ის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, პრაქტიკულად, ქვეყნის პირველი პირი იყო — ხომ გითხარით, პარლამენტის ანუ ჟვანიას რატიფიკაციის გარეშე მინისტრები ფულს ვერ ხარჯავდნენ, მუსიკას კი ის უკვეთავს, ვინც ფულს იხდის. მაშინ საქართველო მაფიოზური ქვეყანა იყო და ამ მაფიის „გლავარი“ ჟვანია გახლდათ — ყველანაირ ფულს იღებდა. პატარკაციშვილი შეიძლება, შეშინებულის პოზიციიდან მოქმედებდა, ჟვანია კი ყველაფერს გათვლილად აკეთებდა და კორუფციის ბუდე იყო...

— ბატონო ჯონი, ალბათ, ხვდებით, რომ თქვენს განცხადებებს დიდი პოლიტიკური აჟიოტაჟი მოჰყვება...

— პოლიტიკა არ მაინტერესებს! ამას წინათ, ტელევიზიით აჩვენეს ფარული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ჟვანია, სააკაშვილი, პატარკაციშვილი და ჩხარტიშვილი საქართველოს იყოფენ ანუ ეს ჩვეულებრივი მაფია იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხარჯვით ნაწილში ბიზნესის დაბეგვრას, იცით, რა მოჰყვა? — წელიწადში სიმსივნის 7 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება და ეს იმის შედეგია, მაშინ ხალხს ლუკმა-პური რომ დააკლდა!

— რუსეთის „გერეუს“ კონტექსტში სააკაშვილს რატომ არ ახსენებთ?

— ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ თავის დროზე, ივანოვი ჟვანიასთან ჩამოვიდა. შეიძლება, სააკაშვილიც „გერეუშნიკია“, მაგრამ „გერეუს“, მინიმუმ, აწყენინა და ნატო-ს დაუჯერა, მაგრამ სააკაშვილიც ჩვეულებრივი ბოროტებაა.

დასასრული მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

— მაინც, ვერ გავიგე, ნაციონალებმა რატომ არ დაგიჭირეს და ქონება რატომ არ წაგართვეს?

— დავიწყოთ იმით, რომ ჩემი ექვსი დირექტორი დაიჭირეს და ყველა ბიზნესის საბუთი საგადასახადოში ჰქონდათ. საგადასახადო პოლიციაში მეც რამდენჯერმე წამიყვანეს და 11-11 საათი დაკითხვაზე ვიმყოფებოდი, მაგრამ მარტივად ვეუბნებოდი, არ „ვიწერ“-მეთქი.

— რას „გაწერდნენ“?

— მაგალითად, სასტუმრო „საქართველოს“, რომელიც ჩვენს სააქციო საზოგადოებას ეკუთვნოდა...

— ამას ვინ გაიძულებდათ?

— შუამავალი, მხდალი რამაზ ნიკოლაიშვილი, რომელმაც სააკაშვილთან ერთად, ძალიან დიდი ფული იშოვა... ჩემი აზრით, ოჯახის გამო არ დამიჭირეს: ჯერ ერთი, თაკოს ვერ გაიჩერებდნენ; მეორეც, ჩემს ქალიშვილს, პიანისტ ირმა გიგანს ყველა იცნობს და თაკოსთვის ყველა ქვეყნის საელჩო ღიაა და მესამეც, ჯანსუღ ჩარკვიანი.

— ვანო მერაბიშვილმა მართლა თქვა, გიგანის დაჭერით ახალ გირგვლიანს მივიღებთ და არ გვინდაო?

— ეს ჭორის დონეზე მაქვს გაგებული.

— თქვენს დაჭერას ვინ ითხოვდა?

— პირველ რიგში, უდესიანი, რომელმაც მესროლა.

— ამ საქმეზე, როგორც ვიცი, არჩევნების შემდეგ, მთავარ პროკურატურას სარჩელით მიმართეთ, მაგრამ არაფერი შეცვლილა. უდესიანს ახლა ვინღა მფარველობს?

— როგორც გავიგე, უდესიანმა „იბლატავა“, ამ საქმის მოგვარება 20 მილიონი დოლარი დამიჯდაო... იმასაც ამბობენ, რომ ამ საქმეში ლაშა ნაცვლიშვილისა და გია ხუხაშვილის, ამ ორი „დუპლეტის“ ხელი ურევია — ძალიან გთხოვთ, ეს ფრაზა ისე დაწერეთ, როგორც გითხარით!

— რა თქმა უნდა, მაგრამ „დუპლეტი“ რას ნიშნავს?

— რას და, ზედაპირულად მოაზროვნე ადამიანს. ისე, უდესიანისგან ფულს რომ აიღებ, ეს ასჯერ უბედურებაა...

— ქონება დავით კეზერაშვილმაც ხომ წაგართვათ?

— არავის არაფერი წაურთმევია, რადგან წართმევას სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ გამყინეს — ბიზნესი გამიყინეს.

— რაც შეეხება სასტუმრო „საქართველოს“ კოდუასთვის მიყიდვას...

— „საქართველოს“ ყიდვა ებრაელებს უნდოდათ, მაგრამ უცებ გამოჩნდა კოდუა, რომელმაც ებრაელებზე მეტი შემოგვთავაზა... სასტუმრო „საქართველო“ სააქციო საზოგადოება იყო და, სხვათა შორის, კოდუა, როგორც მყიდველი, მე არ მომიყვანია.

— აბა, ვინ მოიყვანა?

— სხვა აქციონერებმა, რაც გამიკვირდა. ებრაელების შემთხვევაში, ერთიანი გადაწყვეტილება იყო, კოდუას გამოჩენის შემდეგ კი, ყველაფერი ინდივიდუალური გახდა და კოდუასაც მხოლოდ ჩემს აქციებზე ველაპარაკე...

— ეს ბიზნესგარიგება თუნდაც ჯანსუღ ჩარკვიანს უხერხულობას არ უქმნიდა?

— შეიძლება, მაგრამ უმცირესობაში ვიყავი...

— ანუ მნიშვნელობა არ ჰქონდა, დათანხმდებოდით თუ არა, კოდუა „საქართველოს“ მაინც იყიდდა?

— დიახ. კოდუა მე არ მომიყვანია, მაგრამ არც იმას ვიტყვი, სააქციო საზოგადოებაში ვინ მოიყვანა, ეს თვითონ თქვას...

— მოდით, დამიკონკრეტეთ, ნაციონალების დროს, როგორც ბიზნესმენი დაბლოკილი იყავით თუ არა?

— ექვსი კაცი დამიჭირეს და მათ ციხეში შენახვა ხომ უნდოდა? ყველა ჩემი ფირმა დაკეტილი იყო და ბანკს მივმართე, რის შემდეგაც ჩემი ქონება ბანკში აღმოჩნდა. სხვათა შორის, ამ ექვს ადამიანს აიძულებდნენ, ეთქვა, ჯონი გიგანი შავს საქმეებს მავალებდაო, მაგრამ ერთიც არ შეშინდა და ტყუილი არ თქვა...

— ამ წნეხის მიუხედავად, პირველი კლინიკური საავადმყოფოს ანუ ე.წ. არამიანცის მიმღების ყიდვა მოახერხეთ. მაშინდელმა ხელისუფლებამ ტენდერში გამარჯვების შანსი რატომ მოგცათ?

— ამასაც მოგახსენებთ... „მორკინალის“ ტერიტორიაზე ძალიან დიდ პროექტს ვაკეთებდი, ლატვიელ მილიარდერთან დრაფ-კონტრაქტი უკვე გაფორმებული იყო და პირველი ტრანში, 35 ათასი აღებული გვქონდა, მაგრამ ეს პროექტი უდესიანმა ანუ ნაციონალებმა ჩამიშალეს.

— როგორ?

— ლატვიელი მილიარდერი გააქციეს, ჯონი გიგანი ოპოზიციაშია და მასთან არ ითანამშრომლოო. უდესიანი „მორკინალის“ წილში არ იყო. მეორე ტრანშს ველოდებოდი, მაგრამ ლატვიელი პარტნიორი გაქრა, ამასობაში ჩემთან უდესიანი მოვიდა და მითხრა, მაგარი ინვესტორი მყავს, რომელიც 28 სართულს ააშენებსო. მივუგე, პარტნიორი უკვე მყავს-მეთქი... როგორც ახლა გავარკვიე, ამ პარტნიორის გაქცევაში წვლილი სააკაშვილის ძმასაც მიუძღვის... მოკლედ, გავიდა უდესიანის წინადადება და ერთ-ერთ საქმიან შეკრებაზე უდესიანმა მესროლა.

— რატომ?

— ლაპარაკს არ გვაცდიდა, ხან ვითომ ერთ გენერალს ურეკავდა, ხან მეორეს... ვთხოვე, დაბრძანდი და საუბარი დაგვაცადე-მეთქი. ამოიღო „ნაგანი“ და სამი მეტრიდან მესროლა. „მორკინალის“ მაშინდელმა დირექტორმა, დათო მიქაბერიძემ გადამარჩინა — ხელი აუკრა, მეორე და მესამე უდესიანმა ჰაერში გაისროლა... პირველმა ტყვიამ კი თმა შემიტრუსა ანუ უდესიანი მკლავდა...

— ესე იგი, „არამიანცის“ მიმღების ყიდვაში ხელი იმიტომ არ შეგიშალეს, რომ ამ ინციდენტზე ხმა არ ამოგეღოთ?

— არა... მოკლედ, უდესიანმა რაც თქვა ინვესტიციასთან დაკავშირებით, არ შეასრულა. მოგეხსენებათ, მას პირის ნაცვლად, რაც აქვს... ყველაფერ ამის გამო, პრაქტიკულად, გაკოტრების პირას მივედი. ამ დროს „არამიანცის“ მიმღები გამოიტანეს აუქციონზე, ვიფიქრე, „მორკინალს“ ბანკში ჩავდებ და ტენდერში მონაწილეობას მივიღებ-მეთქი. წესით, ბანკს კრედიტი არ უნდა მოეცა, მაგრამ ესეც, ალბათ, ხრიკი იყო — უნდოდათ, ერთიანად კუთხეში მივემწყვდიე. სხვათა შორის, იმხანად ბანკიდან მსხვილი კრედიტის აღების საკითხს სამი კაცი — სააკაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი წყვეტდა...

— ბატონო ჯონი, თქვენთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რამე შეიცვალა?

— კი, ბევრი რამ: ჯერ ერთი, ივანიშვილმა ყველა ფიზიკურად გადაგვარჩინა; მეორეც, კარგი ქნა, რომ გვერდით გაიწია და პრემიერად ისეთი ადამიანი მოიყვანა, რომელმაც არ იცის, კომუნიზმი რა არის. დღეს უკვე იმის საშუალება მაქვს, ვიფიქრო და ეს ბედნიერებაა, თორემ ვინმე გამოვიდეს და თქვას, შევარდნაძის ან სააკაშვილის დროს ვინმესთან თუ მივსულვარ და შემიწუხებია. დღესაც არავის შევაწუხებ!

— ამბობენ, რომ რუსული სპეცსამსახურები საქართველოში ისევ გააქტიურდნენ. ამ ფონზე, საფრთხე ისევ გემუქრებათ?

— ალბათ...

— ბატონო ჯონი, თქვენს სიმამრს, ჯანსუღ ჩარკვიანსა და მეუღლეს, პუბლიცისტს თაკო ჩარკვიანს რატომ არ აჩუმებდით, რომ ნაციონალებთან პრობლემები აღარ შეგქმნოდათ?

— (იღიმის) კარგი, რა, ამას როგორ ვიკადრებდი?! ჯანსუღი კომუნისტების დროს არ გაჩუმებულა და მე როგორ ვეტყოდი, გაჩერდით-მეთქი. გირგვლიანი რომ მოკლეს და თაკოსთვის მეთქვა, ქუჩაში არ გახვიდე-მეთქი, ეს ხომ საზოგადოების კვდომა იქნებოდა და თუ საზოგადოება მოკვდება, მაშინ საქართველოც დაიღუპება!

— ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, შესაძლოა, გაჩნდეს მოსაზრება, რომ პოლიტიკაში გინდათ მოსვლა და ამიტომ გააქტიურდით...

— არა, რა სისულელეა! უბრალოდ, საქართველოს ისტორია კარგად ვიცი — ქვეყანა ფსევდოგმირებმა წალეკეს! ფსევდოგმირები ისინი არიან, რომლებიც რუსულმა „კაგებემ“ შეგვიქმნა. ახალგაზრდობას თუ არ ვეტყვით, სინამდვილეში, პავლიკ მოროზოვი ვინ იყო, ქვეყნად ვერ შევდგებით!

— ბატონო ჯონი, წელან უნდა მეკითხა და დამავიწყდა: როგორ ფიქრობთ, ზურაბ ჟვანია მოკლეს?

— რა თქმა უნდა, მოკლეს და ეს საქმე უნდა გამოიძიონ, მაგრამ ამასთან, ჟვანიას მოქმედებებიც გამოსაძიებელია. გერმანია თვლის, რომ შევარდნაძემ სიკეთე გაუკეთა და ამიტომ ლეგენდარულ მე-9 ბლოკისთვის თანხას აძლევდა, მაგრამ ეს მილიონები სად მიდიოდა?

— სად?

— გამოიძიონ ეს ფული ვის მიჰქონდა და ჟვანიასთან მივლენ, რომელიც საბოტაჟით იყო დაკავებული. გითხრათ, სად წავიდა ეს ფული? — რუსეთის „გერეუმ“ წაიღო. ეს რეალობაა და ამაზე უნდა ვილაპარაკოთ! სხვათა შორის, მაშინ გაზს რუსეთი გვაწვდიდა, ფულს ვერ ვუხდიდით, მაგრამ არ გვითიშავდა და იცით, რატომ? — ვთქვათ, ერთი კუბი გაზი 10 ლარი ღირს. საზღვარზე მრიცხველმა დააფიქსირა, რა რაოდენობის გაზი შემოვიდა. ხალხისგან ამოღებული ფულის 50 პროცენტი, როგორც „შავი ფული“ რუსეთში მიდიოდა, 50 კი ჟვანიასთან. ამასთან, სახელმწიფო რუსეთს დავალიანებას ოფიციალურადაც უხდიდა. ეს მხოლოდ კორუფცია კი არა, პოლიტიკაც იყო, რომ რუსეთის წინაშე დაჩოქილი ვყოფილიყავით... დიახ, ჟვანია ძალიან ჭკვიანი იყო, მაგრამ რუსეთს ემსახურებოდა!

ჯონი გიგანის განცხადებას, რომ ბადრი პატარკაციშვილმა საშა მაისურაძის პირველი პატიმრობიდან გათავისუფლებაში ზურაბ ჟვანიას რამდენიმე მილიონი გადაუხადა, ერთი გარემოებაც ამყარებს: როგორც აწ განსვენებული ოლიგარქის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, გიორგი ბერიძემ ჟურნალისტ ელისო კილაძესთან ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ქრონიკა+“-ში გამოქვეყნდა, განაცხადა, 2007 წლის 7 ნოემბრის ამბების მერე, მისი და საშა მაისურაძის თავისუფლებაში პატარკაციშვილი მზად იყო, 20 მილიონი გადაეხადა. „სანამ მე ციხეში ვიყავი და ბადრი ცოცხალი იყო, ჩემს ოჯახს შეუთვალეს, რომ ჩვენი გათავისუფლება შესაძლებელი იყო 25 მილიონი დოლარის გადახდის სანაცვლოდ. რამდენადაც ვიცი, 20 მილიონზე შეთანხმდნენ და ბადრი გადახდას აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა“, — აცხადებს ზემოხსენებულ ინტერვიუში გიორგი ბერიძე. მოკლედ, აწ განსვენებული პატარკაციშვილისთვის საშა მაისურაძე იმდენად ძვირფასი გახლდათ, რომ მზად იყო, მისი თავისუფლება 20 მილიონად ეყიდა. რატომ იყო პატარკაციშვილისთვის ასე ძვირფასი უშიშროების პოლკოვნიკი მაისურაძე? — ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველს არ გაუჭირდება...

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქუთაისში მცხოვრები, 1967 წელს დაბადებული ირმა ც. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ხაშურში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ირმა ც-ს ხაშურის რაიონის სოფელ აგარებში, ე.წ. თურქულ სასადილოში ნაქირავები ჰქონდა ფართი, რომელსაც გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის სისტემატურად უთმობდა.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით, რაც ჯარიმით ან 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება).

„ვერსიანიუსი“

სამართალდამცავები ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად

შსს აქციაში — „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე“ — მონაწილეობას განაგრძობს. შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის აქციის — „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს.

შს სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტისა და დანაყოფის თანამშრომლები უკვე მეორე წელია, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით სისხლის გაღების აქციებს ყოველ კვირას ატარებენ. სამინისტროს ინფორმაციით, აქციის მიზანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

„ვერსიანიუსი“

ვიტალი კლიჩკომ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა

გავრცელებული ინფორმაციით, ვიტალი კლიჩკომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაში უარი უფრაქციო დეპუტატის, პეტრო პოროშენკოს სასარგებლოდ თქვა. უკრაინული მედიის ცნობით, ვიტალი კლიჩკო კიევის მერად იყრის კენჭს. რამდენიმე კვირის წინ ვიტალი კლიჩკოსა და პეტრო პოროშენკოს შორის მოლაპარაკებები გაიმართა და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ პარტია „უდარის“ ლიდერი უარს იტყოდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. უკრაინაში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 25 მაისს გაიმართება. უკრაინაში ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების შედეგად, გამოკითხულთა 24,9% ამ დროისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს უჭერს უფრაქციო დეპუტატს და კომპანია „როშენის“ მფლობელს პეტრო პოროშენკოს.

„ინტერპრესნიუსი“

რამდენი შეიძლება იყოს საარსებო მინიმუმი საქართველოში

წლები გადის, მაგრამ საარსებო მინიმუმი საქართველოში კვლავ 150 ლარის ფარგლებში რჩება. 2014 წლის თებერვალში, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 137.6 ლარით განსაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით 4%-ით მეტია, თუმცა მაინც ცოტაა. საარსებო მინიმუმის ოდენობა არაერთხელ ქცეულა ცხარე კამათის საგნად. ახლაც ბევრი ფიქრობს, რომ ეს მაჩვენებელი რეალობას ვერ ასახავს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, არასწორადაა დათვლილი კალორიების რაოდენობაც — 2 300 კილოკალორია, რადგან ევროკავშირის ქვეყნებში კილოკალორაჟი 2 700-ზე ნაკლები არ არის. საგულისხმოა, რომ საარსებო მინიმუმი საქართველოში დგინდება 2003 წელს დადგენილი მეთოდოლოგიით, რომელიც სპეციალისტებს მოძველებულად მიაჩნიათ. საქართველოს მთავრობაშიც აღიარებენ, რომ საარსებო მინიმუმზე მუშაობა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა.

„ეს კომპლექსური საკითხია, რომელზეც მთავრობა მუშაობს. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ოპტიმალურ შედეგს მივიღებთ“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე ამბობს, რომ, როდესაც ქვეყანაში ინფლაციური ტრენდია და ფასები იზრდება, საარსებო მინიმუმი აუცილებლად უნდა გადაიხედოს.

„მესმის, ეს არ შეიძლება ხშირად გაკეთდეს, მაგრამ რაღაც რეგულაცია მაინც უნდა არსებობდეს. ამასთან, საარსებო მინიმუმი მხოლოდ სოციალური კი არა, ეკონომიკური მაჩვენებელია, რადგან მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება მისი გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს“, — ამბობს ეკონომისტი.

მისი თქმით, გასაგებია, რომ არც სამომხმარებლო კალათის ცვლილება შეიძლება ხშირად, მაგრამ ვინაიდან სწორედ სამომხმარებლო კალათის მიხედვით ითვლება ინფლაციის მაჩვენებელი, ამ საკითხთანაც ძალიან ფრთხილი მოპყრობაა საჭირო.

„სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეების ხარჯის სტრუქტურაში 70% სურსათს უკავია, დანარჩენი 30% კი სხვა საჭიროებებს, რაც ნამდვილად არ არის კარგი. განვითარებულ ქვეყნებში პროდუქტზე ხარჯვის წილი მიზერულია, ეს პროპორცია ჩვენს ქვეყანაშიც უნდა შეიცვალოს, ოღონდ არა ხელოვნურად, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე. დროა, ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი დაეთმოს განათლებას, ჯანმრთელობას ან დასვენებას და არა საკვებს“, — ამბობს ბერიძე.

„საქსტატის“ დირექტორის მოადგილე, თენგიზ ცეკვავა კი ამბობს, რომ საარსებო მინიმუმი რეალობისგან მოწყვეტილი ვერ იქნება და, შესაბამისად, იმ სინამდვილეს ასახავს, რომელშიც ვცხოვრობთ.

„საარსებო მინიმუმი დგინდება ფასების მიხედვით. არსებობს სამომხმარებლო კალათა, რომელიც 2003 წელს შეიქმნა, მასში შედის 40 დასახელების პროდუქტი და საარსებო მინიმუმს სწორედ ამ პროდუქტის ფასის მიხედვით ვითვლით. ბოლო ორ-სამ წელიწადში, მათი ფასი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ინფლაციის მაჩვენებელიც დაბალია, შარშან კი საერთოდ დეფლაცია დაფიქსირდა. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში ფასების მკვეთრი ცვლილება არ ყოფილა, საარსებო მინიმუმიც არ შეცვლილა. პური, კარტოფილი, ბოსტნეული — ყველაფერი, რაც ადამიანის ყოველდღიური რაციონისთვის აუცილებელია, დაახლოებით იგივე ფასი ღირს, ხოლო შაქარი გაიაფდა კიდეც. 2011 წელთან შედარებით, პროდუქციის ფასი შემცირდა. სწორედ 2011 წელს აღინიშნა მაღალი ინფლაცია, ბოლო წლებში კი ფასები მეტ-ნაკლებად სტაბილურია“, — აღნიშნა თენგიზ ცეკვავამ.

BPI

ფქვილის მაფია და სქემა, რომლითაც ვანო მერაბიშვილმა და მისმა მეგობრებმა ქართული წისქვილკომბინატები გააკოტრეს

ვინ არის ასაბიღ კასუმოვი და როგორ „აახიეს“ ნაციონალებმა მილიონები ქართველ მეწარმეებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ფქვილის ბაზარზე არსებული 70-მდე ქართული წისქვილკომბინატი წინა ხელისუფლების დროს დაიხურა, მსხვილი წისქვილკომბინატები კი ხელში აზერბაიჯანულმა ბიზნესჯგუფმა „კარატ ჰოლდინგმა“, როგორც „ვერსიას“ უხსნიან, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეგობრების დახმარებით ჩაიგდო და საქართველოს ფქვილის ბაზრის მონოპოლისტად იქცა. იმის გამო, რომ აზერბაიჯანული კომპანია ბაზრის მონოპოლისტი და, პრაქტიკულად, ერთადერთი მოქმედი კომპანიაა, ჩნდება საფრთხე, რომ თავისი ფქვილი პურის ქარხნებს მონოპოლიურად მაღალ ფასში მიაწოდოს და ეს რუსული თუ უკრაინული ხორბლის გაძვირებით ახსნას.

საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ლევან სილაგავამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ 2006 წლამდე, საქართველოს ფქვილის ბაზარზე 70-მდე მსხვილი, საშუალო და წვრილი წისქვილკომბინატი არსებობდა. დღეს 15-მდე წისქვილკომბინატიღაა და მათგან ყველაზე მსხვილი და ძლიერი წისქვილკომბინატი „კარატ ჰოლდინგის“ ხელშია, რომელიც აზერბაიჯანული ბიზნესკომპანიაა. აზერბაიჯანული ჰოლდინგი მარნეულის, გორის, კაჭრეთის წისქვილკომბინატებსა და „მზეკაბანს“ აერთიანებს, ფქვილს კი საქართველოს ბაზარზე, „კარმენის“ სახელწოდებით აწარმოებს:

„კარატ ჰოლდინგის“ ჯამური სიმძლავრე დღე-ღამეში 1 200 ტონა ხორბლის გადამუშავებაა, რაც უტოლდება საქართველოს მოხმარების რაოდენობას ერთ დღეში. შესაბამისად, ამ კომპანიის ჯამური სიმძლავრე 100%-ით აკმაყოფილებს საქართველოს მოხმარებას. „კარატ ჰოლდინგს“ საქართველოს ფქვილის ბაზრის 70-80% უკავია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ წისქვილკომბინატები, რომლებიც ჩამოგითვალეთ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ფედერალურ საწარმოებად მიიჩნეოდნენ, რომლებსაც სტრატეგიული მარაგების ანუ ხორბლის შესანახი ელევატორებიც აქვთ. სიმძლავრეებისა და შესანახი ელევატორების მხრივ, აზერბაიჯანული კომპანია ფქვილის ბაზრის მონოპოლისტია, სხვა წისქვილკომბინატებმა ამგვარ კონკურენციას ვერ გაუძლეს და ამიტომაც გაჩერდნენ. იმედი მაქვს, ანტიმონოპოლიური კანონი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიიღეს, ამ პრობლემას მოაგვარებს. ოთხივე საწარმო, რომელსაც აზერბაიჯანული ჰოლდინგი ფლობს, სტრატეგიულია. დარწმუნებული ვარ, კომპანიის ხელმძღვანელებიც ფიქრობენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პირობებში, ამ რეჟიმში მუშაობას ვეღარ გააგრძელებენ, რადგან, როგორც გითხარით, დადგმული სიმძლავრეების მიხედვით, ფქვილის ბაზრის 80% მათ ხელთაა. ანალიზის საფუძველზე ვფიქრობთ, ეს საკითხი შესასწავლია, რადგან სხვა კომპანიები ფქვილის ბაზრის დარჩენილ 20%-ზეც ვერ მუშაობენ. ზოგადად, ეს ბაზარი სტრატეგიული დარგია და მხოლოდ ერთი კომპანიის გაბატონება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით, დიდ რისკთანაა დაკავშირებული“, — აღნიშნავს **ლევან სილაგავა**.

„ვერსიის“ ინფორმაციით, „კარატ ჰოლდინგის“ დამფუძნებელი აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატი, ასაბილ კასუმოვია. ეს კომპანია აზერბაიჯანშიც ფქვილისა და ხორბლის ერთ-ერთ უმსხვილეს მიმწოდებლად მიიჩნევა. საქართველოს ფქვილის ბაზარზე აზერბაიჯანული „კარატ ჰოლდინგი“ ნაციონალური ხელისუფლების დროს, 2007 წელს გამოჩნდა, თუმცა მანამდე, 2005 წლიდან ნაციონალმა მაღალჩინოსნებმა ქართული წისქვილკომბინატების მიზანმიმართული გაკოტრება დაიწყეს.

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, 2005 წელს, გორისა და კაჭრეთის მომგებიანი წისქვილკომბინატები ხელში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეგობრებმა — ლუხუმ კაპანაძემ და სერგი კაკალაშვილმა ჩაიგდეს. სხვათა შორის, ეს ის სერგი კაკალაშვილია, რომლის პოეზიასაც პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი ეთაყვანებოდა და პარლამენტში ერთ-ერთი გამოსვლის დროსაც წაიკითხა. საწარმოების დაუფლებიდან რამდენიმე წელიწადში, კაპანაძემ და კაკალაშვილმა წისქვილკომბინატები გაკოტრებამდე მიიყვანეს და აზერბაიჯანულ კომპანია „კარატ ჰოლდინგს“ გადაულოცეს. წყარო გვიამბობს, რომ წისქვილკომბინატების გაკოტრების ერთ-ერთი მიზეზი 2008 წელს აგვისტოს ომის დროს შემოტანილი ფქვილი იყო, რომლის საფასურის გადახდა ხელისუფლებამ კერძო მესაკუთრეებს დააკისრა.

წყაროს ინფორმაციითვე, ომში ჩაბმულმა ქვეყანამ აზერბაიჯანისგან 24 000 ტონა ფქვილი შეიძინა. გორის წისქვილკომბინატის ყოფილი ფინანსური დირექტორი პროკურატურაში დაიბარეს და 500 000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრეს, სხვა წისქვილკომბინატები კი ასეთი სქემით გააკოტრეს: 2008 წელს, აზერბაიჯანიდან ფქვილი შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფამ“ შემოიტანა, ფქვილის საფასური კი საქართველოში მოქმედ წისქვილკომბინატებს გადაახდევინეს. წყაროს თქმით, წისქვილკომბინატის წარმომადგენლებმა ათასობით ლარი აღსრულების ბიუროს ანგარიშზე შეიტანეს. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფომ საომარი მდგომარეობის გამო, მისივე პროგრამის — „იაფი კრედიტის“ ფარგლებში, ფქვილის შესაძენად შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფას“ 12 500 000, შპს „ურეხს“ კი 1 000 000 აშშ დოლარი 5-წლიანი ვადით და 2%-იანი განაკვეთით ასესხა. მთავრობის დადგენილებას ხელს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ვლადიმერ გურგენიძე აწერდა. შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფა“ 2004 წლის 13 აგვისტოს, საწარმოთა მართვის სააგენტომ დააფუძნა. მისი საქმიანობის მიზანი პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებების სხვადასხვა მომსახურებით უზრუნველყოფა იყო. შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფამ“ არსებობა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან ორ კვირის შემდეგ შეწყვიტა, რადგან ეკონომიკის სამინისტრომ მისი ლიკვიდაცია გამოაცხადა.

მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარის, ლევან სილაგავას მტკიცებით, უკრაინასა და რუსეთში გაძვირებული ხორბლის გამო, საქართველოს ბაზარზე ფქვილი და პური არ გაძვირდება. მისი თქმით, ამჟამად 100 000-დან 120 000 ტონამდე ხორბლის მარაგი გვაქვს, რაც ქვეყანას ორი თვე ეყოფა. მეტიც, უკვე გზაშია მცირედ გაძვირებული, მაგრამ ჯერ კიდევ ყირიმის კრიზისამდე შეძენილი ხორბალი. მიუხედავად ამისა, რა გარანტია არსებობს, რომ ფქვილის ბაზრის ერთადერთმა მონოპოლისტმა აზერბაიჯანულმა „კარატ ჰოლდინგმა“, პურის საცხობებს მის მიერ წარმოებული ფქვილი მონოპოლიურად მაღალ ფასში არ მიაწოდოს? „ვერსიის“ კითხვაზე, როგორ დარეგულირდება ეს ვითარება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენის პირობებში, ლევან სილაგავამ უპასუხა:

„არსებობს ეჭვი, რომ აზერბაიჯანული კომპანია „კარატ ჰოლდინგი“ პურის ქარხნებს ფქვილს უსამართლო ფასად აწვდის, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ ყველა წისქვილკომბინატს თანაბარ პირობებში უნდა მიეცეს მუშაობის საშუალება. რაც შეეხება ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, ფაქტია, ამ პრობლემას დაარეგულირებს, თუმცა ეს პროცესი დროში გაიწელება. ვაჭრობისა და კონკურენციის სამსახური 15 აპრილს უნდა შეიქმნას, რომლის დაკომპლექტებას გარკვეული დრო დასჭირდება... არც ერთი ქვეყნის ინვესტიციის წინააღმდეგნი არ ვართ, მაგრამ ბაზარზე არსებული ყველა კომპანია თანაბარ პირობებში უნდა იყოს. გარდა ამისა, ამ ჰოლდინგში გაერთიანებულ ოთხივე წისქვილკომბინატს სტრატეგიული მდებარეობა აქვს ანუ ტერიტორიულად იქაა განთავსებული, სადაც ხორბლის მოსავალი მოდის... ამიტომ არ არის გამორიცხული, ხვალ სწორედ ამ კომპანიამ უკარნახოს მთლიანად სოფლის მეურნეობის ამ დარგს საკუთარი ფასი და ამ მხრივაც მონოპოლიურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს“.

წეროვანში მცხოვრები დევნილები მთავრობას გაზის დავალიანების განულებას სთხოვენ!

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

როგორ ცხოვრობენ და ახალი ხელისუფლება ინტერესდება თუ არა იმ ადამიანთა პრობლემებით, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანმა ომმა საკუთარ სამშობლოში დევნილებად აქცია? — ამის გასაგებად წეროვანის ე.წ. გეტოს ვესტუმრე... „ბირჟაზე“ შეკრებილებმა რომ გაიგეს, ჟურნალისტი ვიყავი, გაუხარდათ და მეზობლებსაც გასძახეს, სტუმარი გყვავსო...



„ვის რაში ვეკითხებით, შვილო? პოლიტიკოსებს მარტო არჩევნების დროს ვახსენდებით — ხმა რომ სჭირდებათ, მაშინ. სხვა დროს არავინ გვაკითხავს, ისიც კი არ აინტერესებთ, ცოცხლები ვართ თუ დავიხოცეთ. ამას წინათ, დიდი ლიახვის მოსახლეობას დახმარება დაურიგეს — შაქარი, ზეთი... ჩემმა მეზობელმა ტირილით უთხრა გამგეობის ხალხს, პატარა ლიახვმა რა დააშავა, მათაც მიეცითო. ჩვენ შეგინახეთ, მაგრამ გამგეობამ შეჭამაო, უპასუხეს... თემო, რა გვიქნა გამგეობამ, უთხარი ერთი“, — **მიუბრუნდა შუახნის ქალბატონი გვერდით მდგომ მეზობელს, რომელიც საუბარში მაშინვე ჩაერთო:**

„ისე ჭამენ ყველაფერს, კვალს არ ტოვებენ. საცემები არიან... ნეტა, 5-6 წლით ახალგაზრდა ვიყო... აღარ წავალ არჩევნებზე ხმის მისაცემად, ვინც უნდათ, ის აირჩიონ. მაინც არავინ გაამართლა, არავის იმედი აღარ მაქვს. ახლა, მთავარია, ეს გაზი გაანულონ — 4 თვის გადასახადი 436 ლარი მაქვს. ამ პრობლემის წინაშე ვდგავართ აქ ყველა. რა ვქნათ, შვილო? — გვცივა. სახლებს თხელი კედლები აქვს, ღამით ჭიქებში დატოვებული წყალი, დილით გაყინული გვხვდება“.

— მარტო ეგ კი არაა პრობლემა, შვილო, — **ვიშვიშით მომიახლოვდა ნატო ბებო,** — ვინც ამ ზამთარს, თვეში 70 ლარზე მეტი გაზი დავწვით, მთავრობამ შეძლებულად ჩაგვთვალა და სოციალურად დაუცველის დახმარება არ დაგვინიშნა. ფული თუ არ გქონდათ, გაზის გადასახადი როგორ გადაიხადეთო? — გვითხრეს. დევნილების კატეგორიებად დაყოფა ვის გაუგია? დევნილი დევნილია! სოფლის მეურნეობის ბარათებიც კი სხვადასხვანაირი დაგვირიგეს: ზოგს 200-ლარიანი ვაუჩერი მისცეს, ჩვენ კი 50-ლარიანი. ჩემი ბიჭი, ცოლ-შვილთან ერთად, აგერ, გვერდით ცხოვრობს. დილას გავა სახლიდან, ხან ბაზარში დადგება, იქნებ, ვინმემ რამეზე დამასაქმოსო, მაგრამ არაფერი გამოსდის. ჩვენ პენსიას შემოსცქერიან. სოციალურად დაუცველი ვარ, აბა, რა ვარ? — თვიდან თვემდე ლარს ვინახავთ, თანხის ასაღებად ბანკში წასვლა რომ შევძლო. ჯერ იქ, სროლაში დავავადმყოფდით. სიბერეში აქ ჩამოსვლა მომიწია, ვერ ვეგუები აქაურობას... 4 წლის განმავლობაში, ინსულტიც დამემართა, ინფარქტიც... პენსია წამლებში არ გვყოფნის. ხან მაძღრები ვართ, ხანაც მშივრები ვწვებით... ახალგორელები მშვენივრად არიან, მაგათ ჩოჩელი ეხმარებოდათ — პროდუქტი, ტანსაცმელი მიჰქონდა ტომრებით. ყველა დასაქმებულია. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ ჩვენც მოგვაქციონ ყურადღება. რა დავაშავეთ ხეობის ხალხმა, ჩვენი პატრონი არავინაა. ივანიშვილი რომ გამოჩნდა, ხმა სიხარულით მივეცით, მაგრამ მაგანაც მოგვატყუა. ბევრი ლტოლვილი ახლაც იღებს ძველ ხელფასს. საბავშვო ბაღში აღმზრდელად 50 წელი ვიმუშავე და ხელფასს ვიღებდი, მაგრამ სააკაშვილმა იმის გამო მომიხსნა, არჩევნებზე 41 ნომერი რომ შემოვხაზე.

ნატო ბებოს სიტყვას ბატონი თემო აწყვეტინებს და გაბრაზებული ამბობს, ნაციონალები ისევ იბრძვიანო:

— მაგათ, ყველას, მილიონ-მილიონი მაინც აქვს. 9 წელიწადი ჭამე, სვი, გასუქდი... წადი ახლა, კაცო, დაგვანებე თავი. ისე, ცოდვას ვერ ვიტყვი, მიშას დროს მეტად გვეხმარებოდნენ ფინანსურად. შუქზეც გვქონდა შეღავათი და გაზზეც. გვაძლევდა ფქვილს, მაკარონს, ზეთს... რაც ივანიშვილის მთავრობა მოვიდა, შარშან მარტო სოფლის მეურნეობის 100-ლარიანი, წელს კი, 50-ლარიანი ვაუჩერები დარიგდა. პატარა მიწა გვაქვს და ვამუშავებთ. მცირე მოსავალი მოგვყავს.

„ნაციონალებიც ივანიშვილის ჯიბით გვეხმარებოდნენ“, — **მიაძახა ბატონ თემოს ახალგაზრდა ყმაწვილმა და ბურთის თამაში გააგრძელა. ახალგაზრდას რეპლიკა ბატონმა თემომ უპასუხოდ არ დატოვა:**

— ოღონდ დაგვეხმაროს და ვისი ჯიბიდან იქნება, რას დაავეძებ?! წილკანში, ხურვალეთსა და პატარა დასახლებებში წიწილები დაურიგეს, საქათმეებიც აუშენეს. პატარა სოფლებში სახლებს, გარედან გამათბობელი „სტეკლოვატა“ შემოაკრეს. ჩვენ არ გვიკეთებენ, ბევრნი ხართო. აქამდე არ იცოდნენ, დევნილები ბევრნი რომ ვართ? აქ, დიდი და პატარა ლიახვის, ახალგორის მოსახლეობა ვცხოვრობთ და 2 500 სახლი დგას. არავინაა ჩვენი პატრონი. ფერდობზე, დენის მავთული სულ ჩამოგლეჯილია. გული მისკდება, ავდარში, სკოლიდან მომავალი ბავშვები უბედურებას არ მოეწიონ.

ამასობაში, სერგო ბაბუა მოგვიახლოვდა. თავისი მამული და ძველი ცხოვრება სინანულით გაიხსენა.

— იქ კარგად ვცხოვრობდით, ყველაფერი გვქონდა — მიწები, დიდი სახლები, 20 ტონამდე ვაშლს ვკრეფდი ყოველ სეზონზე, დღეს კი, წავედი და ბავშვებისთვის ვაშლი ძლივს ვიყიდე, — **დანანებით თქვა სერგო ბაბუმ და პარკში ჩაყრილი ვაშლი გამომიწოდა, მიირთვიო.**

— ძველი მეზობლები დაგვფანტეს. ერედველებს ერთად დასახლება გვინდოდა, მაგრამ დაგვაცალკევეს. ადრე, აქ ჟურნალისტებსაც არ უშვებდნენ. ზემოთ, ბუჩქებში იმალებოდნენ ნაციონალები, ზვერავდნენ ვითარებას, აკონტროლებდნენ, ვინ მოვიდოდა. რუსი ადრეც შემოვიდა ჩვენ ტერიტორიაზე. ჯავაში ტანკები არ ეტეოდა 2004-2005 წლებში. რუსები ჩვენ სოფელშიც დადიოდნენ, მაგრამ არ ერეოდნენ ჩვენ საქმეში. სააკაშვილი დასაწველია თავის ხალხიანად! ყველა დანაშაულზე უნდა აგოს პასუხი. ახლა რომ კითხულობენ და აწყდებიან აქეთ-იქით, ვინ როგორ დაიწყოო ომიო, მოვიდნენ და ვეტყვით — „ომის ბიჭებმა“ ცხინვალი, ოსური სოფლები დაიპყრეს. მერე მიატოვეს საწყლები, დაკარგული წიწილებივით დადიოდნენ უპატრონოდ, მეთაური აღარ ჰყავდათ და ვაშლის ხეებს ეფარებოდნენ. ველარც გზა გაიგნეს, უბედურებმა. მიესივნენ ოსები და აწამებდნენ. საცოდავები, ძაღლებმა და ღორებმა შეჭამეს... ადრე ვერაფერს გვიბედავდნენ. ოსისთვის ერედვი რომ გეხსენებინა, შიშისგან კანკალებდა, ისეთი ძლიერები ვიყავით. 20 წელიწადი რაღას გვტანჯავდნენ, ბოლოს თუ ასე გამოგვყრიდნენ? რა შიში ვჭამეთ, რა უბედურება გამოვიარეთ, არავინ იცის, — **მეუბნება ხანშიშესული მამაკაცი.**

— უკან დაბრუნების იმედი გაქვთ? — **ვეკითხები,** — აგე, მავთულხლართები გააბეს. ჭირსაც წაუღია ის სახლიც, კარიც, შეძენილი ქონებაც, მარტო ვაუკაცი ბიჭები მეცოდებიან... რეზერვისტებით სავსე ერთი ავტობუსი, გორის შესასვლელში, ჩემს თვალწინ ააფეთქეს. ქართველები ვისაც უნდა გაემრავლებინა, ისინი ჩახოცეს. ადრე მეფეები თავს სწირავდნენ, წინ მიდიოდნენ ომში ქვეყნის გადასარჩენად. დღეს კი ნუთუ არავინაა მათი მსგავსი? სვი, ჭამე, მაგრამ საქართველოსაც მიხედე, რა. სამშობლოს დარდი აღარავის აქვს! ოსები ვერაფერს დაგვაკლებდნენ, რუსი რომ არ ამოდგომოდა მხარში. მაგათ სხვანაირად უნდა ელაპარაკო, კი არ უნდა ლანძღო, კაცო, ცოტა დიპლომატიაა საჭირო.

— ძალიან მინდა უკან დაბრუნება. მინდა, ბავშვები იქ, მამაპაპისეულ მიწაზე გავზარდო. ოღონდ, აღარ მინდა, იქ რუსი იდგეს. ბავშვობიდან მოყოლებული, სულ სროლა და უბედურებაა, რაც გავთხოვდი, შიშის ქვეშ ვარ. 2008 წელს, უფროსი ბიჭი 2 წლის მყავდა. ბავშვს სტრესისგან ეპილეფსიური შეტევა დაემართა. სამი წელი ვმკურნალობდი. უკვე თბილისში ვიყავით, ღამით წამოხტებოდა, მძინარე ყვიროდა, რუსები მოვიდნენო. ამ პატარამ კი არ იცის, ხეობა რა არის, თვალით არ უნახავს, — **თვალცრემლიანი მზერა შეავლო სოფომ უმცროს შვილს, რომელიც ომობანას თამაშობდა და ყვიროდა, რუსები და ოსები დავხოცოთ, გავანადგუროთო,** — ბავშვებს შიშისგან სისხლის გათეთრება დაემართათ. რამდენი ჭკუიდან შეიშალა, რამდენს შაქარი გაუჩნდა, ვინ მოთვლის...

— დიაბეტი აქ ყველას გვაქვს. ინსულტი, ინფარქტი, სისხლის გათეთრება... ყველა უბედურებამ ჩვენთვის მოიცალა, — **ტირილით აგრძელებს ნატო ბებო,** — პუტინი საზიზღარია, მაგის ბრალია ყველაფერი, მაგრამ, ზოგადად, რუსებს არ ვემდური. სამი რუსი სამხედრო მოვიდა ჩვენთან. იარაღს ეძებდა. ააქოთა ყველაფერი. რომ ვერ იპოვეს, ნივთები ისევ მიაწყვეს, ღვინო დალიეს. პური არ მაქვს-მეთქი, რომ ვუთხარი, მანქანიდან ცელოფნით, „სუხოი პაიოკი“ — კონსერვები, ორცხობილები გადმომიტანეს. წავიდნენ თუ არა, გვეცნენ ოსები, ყველაფერი გაიტანეს ჩვენი სახლებიდან. მერე დაწვეს, დაშალეს და ბლოკებად გაზიდეს... ვინც 8 აგვისტომდე ვერ გამოვასწარით, ტყვედ წაგვიყვანეს. მერე, გადაგვცვალეს 15 რუსში 205 ქართველი. ციხეში, ღია ცისქვეშ ვეყარეთ. ახალგაზრდებს დაღუპულ ჯარისკაცებს ამარხვინებდნენ, მერე ისე სცემდნენ, მათი ღრიალი ცაში ადიოდა...

წეროვანის მკვიდრებს უსიამოვნო, ტკივილიანი მოგონებები, სამწუხაროდ, უხვად აქვთ, უფრო სამწუხარო კი ისაა, რომ ომგამოვლილებს სიცივე, უმუშევრობა და შიმშილი დღემდე ვერ დაუძლევიათ. თავს ხელისუფლებისგან მიტოვებულად გრძნობენ და ახალი მთავრობისგან ყურადღებას ითხოვენ. წეროვანში ჩასახლებულმა დევნილებმა იმ იმედით გამომაცილეს, რომ ხელისუფლება ამ სტატიის მერე მაინც გაიგებს მათ გასაჭირს...

ვერსიანიუსი

პუტინი ობამას დნესტრისპირეთის პრობლემის სამართლიან დარეგულირებაზე ესაუბრა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან სატელეფონო საუბრისას ყურადღება გაამახვილა დნესტრისპირეთის პრობლემის სამართლიან დარეგულირებაზე. ამის შესახებ კრემლის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი:

„რუსეთის პრეზიდენტმა ბარაკ ობამასთან საუბარში ყურადღება ასევე გაამახვილა დნესტრისპირეთის ფაქტობრივ გარეშე ლოკადაზე, რაც რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებით გაუარესებას იწვევს, ხელს უშლის მათ გადაადგილებასა და ნორმალურ სავაჭრო და ეკონომიკურ საქმიანობას. პრეზიდენტმა პუტინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი დნესტრისპირეთის პრობლემის სამართლიანი და ყოვლისმომცველი დარეგულირების მომხრეა და დაინტერესებულია არსებული მოლაპარაკებების ფორმატის 5+2-ის ეფექტიანად მუშაობაში“.

კრემლის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ბარაკ ობამას 28 მარტს დაურეკა, რათა განეხილა ამერიკული მხარის წინადადება უკრაინაში შექმნილი კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარების თაობაზე.

ამასთან, ვლადიმერ პუტინმა სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ უკრაინის სხვადასხვა რეგიონში გრძელდება ექსტრემისტების თარეში. როგორც კრემლის განცხადებაშია ნათქვამი, ამ კონტექსტში რუსეთის ლიდერმა აშშ-ს პრეზიდენტს შესთავაზა, განიხილონ საერთაშორისო საზოგადოების მიერ გადასადგმელი შესაძლო ნაბიჯები უკრაინაში ვითარების სტაბილიზაციისთვის. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს ხანში ასეთი ერთობლივი მუშაობის კონკრეტულ პარამეტრებს რუსეთისა და აშშ-ს საგარეო უწყებების ხელმძღვანელები განიხილავენ.

თავის მხრივ, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რუსეთის პრეზიდენტს მოუწოდა გაიყვანოს შეიარაღებული ძალები უკრაინის საზღვრებიდან.

„ინტერპრესნიუსი“

1. მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცი
2. ჰავაის დედაქალაქი
3. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე
4. ოდისევსის სამეფო
5. მშვილდით სასროლი ჯოხი
6. ქართველი კომიკოსი
7. საკონდიტრო ნაწარმი
8. ხმელეთის ზედ. უსწორმასწორობათა ერთობლიობა
9. მიზიდულობის უნარის მქონე რკინა
10. მეფე არტურის რაინდი
11. ასოების გადასმით ახალი სიტყვის მიღება
12. კავალერია ანტიკურ არმიაში
13. ფეხსამოსი ტერფიდან მუხლამდე
14. ხელით სატარებელი პატარა რადიოსადგური
15. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი
16. IV თვე საფრანგეთის რესპუბლიკ. კალენდარში
17. არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
18. დეკორატიული ძაღლის ჯიში
19. დიდი ბრტყელი თეფში
20. ფრანგი საფეხბურთო მწვრთნელი
21. ოკეანოსის ასული ბერძ. მით.
22. ნერვულ-ფსიქიური დაავადება
23. ბამბით გატენილი ცხოველი ფიგურა
24. გაზაფხულის მახარობელი ფრინველი
25. ცხრა მუსიკოსის ანსამბლი
26. ქალაქი რუსეთში
27. ზეთისხილის ფერი მინერალი
28. სპეც. კულტურათა ნათესი
29. წარწერა კინოფილმის კადრზე
30. ვაშლის ღვინო
31. აგამემნონის ძმა
32. ყველაზე პატარა თითი
33. ბაშკირეთის დედაქალაქი
34. ცხვრის ყვლის სახეობა
35. თუთიყუშის ჯიში
36. მარადიული ქალაქი
37. ქვეყანა დასავლეთ აზიაში
38. ვაზების მწკრივი ვენახში
39. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო …
40. სოფელი ბაღდათის რაიონში
41. მიკროორგანიზმების წმინდა კულტურა
42. ავტომობილის გამომგონებელი
43. რთული საქმე სასამართლო პრაქტიკაში
44. ციხე, სადაც გრაფი მონტე კრისტო იჯდა
45. ფელინის ფილმების კომპოზიტორი
46. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი
47. მიშა ანდღულაძის პერსონაჟი … თოდუა
48. იაპონიაში: ჩხირები, რომელსაც ჩანგლის მაგივრად ხმარობენ
49. ძვ. რომაელი მწერალი, ორატორი
50. იგივეა, რაც შუშა
51. იაპონ. მწერალი ქენძაბურო …
52. ათენის საფეხბურთო კლუბი
53. ოსკარი 2014-ის მფლობელი … ბლანშეტი
54. მდინარე გურიის მხარეში
55. მდიდრული აგარაკი
56. დამშვიდობება იტალიურად
57. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
58. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
59. აშშ-ს ტელეპრემია
60. აფრიკის გამოჩენილი მკვლევარი
61. ოჯახიდან წასული მამის გადასახადი

რესტორანი სასაფლაოზე

ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქში რესტორანი სასაფლაოზე გახსნეს, სადაც მაგიდები და ბარი საფლავებს შორისაა განთავსებული. დაწესებულება, რომელსაც სახელად „ახალი იღბლიანი რესტორანი" ჰქვია, აჰმადაბადში მდებარეობს და მიუხედავად ამისა, კლიენტი არ აკლია. მეპატრონის განცხადებით, დაწესებულების სტუმრები არიან როგორც ახალგაზრდები, ასევე ასაკოვანი ადამიანებიც. სასაფლაოს იღბალი მოაქვს. სამარხები ისე დავტოვეთ, როგორც იყო. ყოველ დილით, ვიდრე პირველი კლიენტები გამოჩნდებიან, დამლაგებლები საფლავებსაც უვლიან და ახლი ყვავილებით რთავენ. დღეს გარდაცვლილების პატივისცემით ვიწყებთ, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, — ამბობს რესტორნის მფლობელი.

მარხვისას მხოლოდ ლუდს სვამს

ტორონტოელმა ვებდიზაინერმა კრის შრიერმა გადაწყვიტა, მყარი საკვები არ მიიღოს დიდმარხვის პერიოდში. ერთადერთი, რაც სიცოცხლეს უნარჩუნებს, ლუდია, რომელიც კრისისთვის „ჰობი, ვნება და ფულის შოვნის საშუალებაა". როგორც ადგილობრივი მედია იუწყება. შრიერმა ღვთისმსახურისგან კურთხევაც აიღო, რომ დიდმარხვაში მხოლოდ გერმანულ ლუდს დალევდა. ყოველდღე მამაკაცი საუზმეზე მაგარ ლუდს მიირთმევს, მეორე ბოთლს სადილად სვამს და დიდი 650 მლ-იანი ბოთლი ვახშმადაა გათვალისწინებული. თავად შრიერის განცხადებით, საკვების ლუდით შეცვლა „სულიერი დისციპლინის" უფრო დიდი გამოცდა აღმოჩნდა, ვიდრე მას წარმოედგინა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე

მისამართი: ნუცუბიძის №16ა

ტელ.: (5)99 22 98 33

ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

შოკოლადი წყალმცენარეებისგან დაამზადეს

მცირეცხიმიანობით გამორჩეული შოკოლადი გახდომის მსურველი, მაგრამ ტკბილეულის მოყვარული ადამიანების იმედია. ვარვიკის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ამ დესერტის ისეთი ვერსია შექმნეს, რომელიც ზღვის წყალმცენარეებს შეიცავს. წყალმცენარეები მდიდარია უჯრედისით (80%) — მადის ბუნებრივი დამქვეითებლით. ცოტა ხნით ადრე მეწარმეები შეეცადნენ ტკბილეულში ცხიმის შემცველობა შეემცირებინათ (ჩვეულებრივ 30%-ით), მაგრამ ამ დროს ირღვეოდა სტრუქტურა და გემოც იცვლებოდა — ჰაერის ბურთულები შოკოლადს ძალიან „მსუბუქს" ხდიდა, წყალი ფილას აზიანებს და თეთრი ნაფიფქით ფარავდა, აგარმა კი (წყალმცენარეების ელემენტი) ყველა პრობლემა მოაგვარა.

სუდოკუ

ადვილი

					5		6	
9		6		7	4			
5					3	9		
2	3							5
	9	5				8	7	
7							1	2
		2	8					3
			6	4		2		9
	5		3					

სტანდარტი

					9	6		3
					8	9		
			7		6	4	2	
2	7		8				9	
			2		7			
	8				5		7	1
	6	9	5		4			
		7	6					
1		5	3					

რთული

5		4			1		9	
			6					2
			5				3	
9	1						2	
	4	3		1		6	8	
	5						1	4
	9				8			
6					5			
	7		9			3		8

ექსპერტი

1								5
	3		6			1		
		5			9	4	7	
				8				
2		9	3		4	8		6
				5				
	8	7	4			6		
		6			7		2	
4								7

თამბაქოს კვამლით გაჟღენთილი ავეჯი კიბოს იწვევს

ეს დასკვნა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნის ბერკლის ეროვნული ლაბორატორიიდან — „მესამე გზის მოწევა“ — ესაა კვამლი, რომლითაც ავეჯი იჟღინთება და სასიკეთო პირობები იქმნება სიმსივნური წარმონაქმნის განვითარებისთვის, რომელიც აღწევს ადამიანის გენომში, შედეგად ცოცხალი უჯრედები ნადგურდება და იცვლება დნმ-ის სტრუქტურა. სპეციალისტები გვირჩევენ, თავიდან მოვიშოროთ ავეჯი, რომელიც გაჟღენთილია სიგარეტის კვამლით.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	4	1	8	2	7	6	5	3
3	2	5	6	4	1	9	8	7
6	8	7	9	5	3	4	2	1
7	1	4	5	3	9	2	6	8
8	9	6	4	7	2	3	1	5
5	3	2	1	8	6	7	9	4
1	7	3	2	9	8	5	4	6
4	6	9	3	1	5	8	7	2
2	5	8	7	6	4	1	3	9

სტანდარტი

4	8	6	5	3	7	2	1	9
7	3	2	1	6	9	8	4	5
9	1	5	2	8	4	7	6	3
8	2	7	3	1	6	5	9	4
6	9	1	4	5	2	3	8	7
5	4	3	9	7	8	6	2	1
3	7	4	8	2	1	9	5	6
2	6	9	7	4	5	1	3	8
1	5	8	6	9	3	4	7	2

რთული

8	9	4	3	2	6	7	1	5
7	6	3	5	1	4	2	9	8
1	5	2	9	8	7	6	4	3
9	3	7	6	5	2	1	8	4
6	4	1	8	3	9	5	7	2
5	2	8	7	4	1	3	6	9
2	1	9	4	7	5	8	3	6
3	7	6	2	9	8	4	5	1
4	8	5	1	6	3	9	2	7

ექსპერტი

6	1	3	5	4	2	7	8	9
2	9	8	7	3	1	6	5	4
7	5	4	9	8	6	3	2	1
3	4	7	6	2	5	1	9	8
9	8	6	4	1	3	2	7	5
5	2	1	8	9	7	4	3	6
4	7	5	3	6	9	8	1	2
1	6	9	2	7	8	5	4	3
8	3	2	1	5	4	9	6	7

ყურში ხმაურს ყავა შველის



მედიკოსები გვირჩევენ, ამ უსიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცილებლად, დღეში სულ ცოტა, სამი ფინჯანი ყავა მივირთვათ, მათ ექსპერიმენტი ჩაატარეს, საშუალო ასაკის ქალბატონებს აკვირდებოდნენ და აღმოჩნდა, რომ დღეში 3-4 ფინჯანი ეს „ღვთაებრივი“ სასმელი ყურში ხმაურის რისკს 15%-ით ამცირებს, ხოლო 4 ფინჯანის შემთხვევაში რისკი 20%-მდეც მცირდება, არადა ადრე მიიჩნეოდა, რომ ჭარბი რაოდენობით კოფეინი ზრდიდა ყურში ხმაურს. სწავლულთა თქმით, ეს გადახრა ვითარდება შიდაყურში ნერვის დაზიანების გამო, ხმამაღალი მუსიკის მოსმენისას, ინფექციისას ან გაციებისას, შედეგად ტვინს ანომალიური იმპულსები მიეწოდება, მკურნალობის მეთოდი კი არ არსებობს. ერთადერთი, რასაც ამ დროს სპეციალისტები ურჩევენ, მოდუნება და ყურადღების სხვა რამეზე გადატანაა. უნდა ითქვას, რომ ყურში ხმაურს ზოგჯერ ადამიანი თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

ჩაი – საპირველო თუ მავნე პროდუქტი

ფაქტი პირველი — ზედმეტი წონა და სიმსივნე: ჩაისა და ადამიანის ორგანიზმის ურთიერთქმედებას ათასობით კვლევა ეძღვნება. სწავლულები ცდილობენ გაგებას, როგორ მოქმედებს ეს მცენარე ამა თუ იმ დაავადებაზე.

რაც უფრო ხანმოკლე და მარტივი დამუშავებისაა ჩაი, მით მეტია მასში კატეხინები, რომელიც ანტიოქსიდანტური თვისებებითაა ცნობილი, ამიტომ, ამ კრიტერიუმით პირველ ადგილზე თეთრი ჩაია, მერე მწვანე და შავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩაის გამაჯანსაღებელი პოტენციალი აქვს, მტკიცება, რომ ეს სასმელი კიბოს აგვაცილებს თავიდან, არ შეიძლება, საამისოდ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ მწვანე ჩაი წონაში მხოლოდ უმნიშვნელო კლებას უწყობს ხელს, რაც შეეხება გულსისხლძართვთა დაავადებებს, შავი და მწვანე სახეობა მათ რისკს ამცირებს.

ფაქტი მეორე — კოფეინი ჩაიში: გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მწვანე ჩაიში უფრო მეტი კოფეინია, ვიდრე ყავაში. სინამდვილეში კი, პირიქითაა — ჩაიში ორჯერ ნაკლებია კოფეინი. ერთ ფინჯან მწვანე სითხეში (240მგ) ის სულ 40 მგ-მდეა, შავ ჩაიში კი — 61მგ-მდე. ერთი პატარა ჭიქა ესპრესსო კი 75მგ-მდე კოფეინს შეიცავს.

ფაქტი მესამე — რკინის შეთვისება: ნებისმიერი ჩაი შეიცავს ტანინს — ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც ანტიოქსიდანტივით მოქმედებს და ორგანიზმის მიერ რკინის ათვისებას ანელებს, თუმცა, როგორც კვლევები ადასტურებს, ჩაის მოხმარების გამო რკინის ათვისების დაქვეითება არ ახდენს დიდ გავლენას მოზრდილ ადამიანებზე. ეს ეფექტი მინიმუმამდე შეიძლება დაიყვანოთ, თუკი ჩაის ჭამის დროს კი არა, კვებათაშორის მიირთმევთ.

ფაქტი მეოთხე — რევმატული ართრიტი: ეს ქრონიკული დაავადება სახსრების ანთების ფონზე მიმდინარობს. საკმაოდ მასშტაბური გამოკვლევებით, რომელშიც 76 ათასი მანდილოსანი მონაწილეობდა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩაი (განსაკუთრებით დღეში 4 და მეტი ფინჯანი) ზრდის რევმატული ართრიტის განვითარების რისკს 78%-ით. ეს არც ისე დიდი მაჩვენებელია, იმის გათვალისწინებით, რომ თავად დაავადების რისკია დაბალი. ამ მხრივ ადამიანს უფრო მეტ ზიანს მოწევა აყენებს.

ფაქტი მეხუთე — ჩაის უკუჩვენება: მთლიანობაში, ეს სასმელი, რასაკვირველია, სასარგებლოა, მაგრამ ნებისმიერი პროდუქტის მსგავსად, ზოგიერთი ადამიანისთვის, შესაძლოა, საფრთხეს წარმოადგენდეს. მწვანე ჩაის მიღებისას აუცილებლად უნდა გამოიჩინოთ სიფრთხილე, თუ გლაუკომა, დიაბეტი, დიარეა, მაღალი წნევა, ოსტეოპოროზი, გულის დაავადებები, ანემია გაწუხებთ. ყურადღება უნდა მიექცეს მწვანე ჩაის ანტიბიოტიკებთან ზემოქმედებას. ამ დროს კოფეინის გამოდევნა ნელდება და შედეგად თავისტკივილი, გახშირებული გულისცემა თუ სხვა გვერდითი მოვლენები იჩენს თავს. მწვანე ჩაის ისეთ პრეპარატთან ერთად მიღებამ, რომელიც თრომბის წარმოქმნას ეწინააღმდეგება, შესაძლოა, სისხლდენა გამოიწვიოს, საგულე პრეპარატებთან ერთად კი მწვანე ჩაის მიღების შემდეგ სისხლის წნევა იმატებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge